საერთო გაზეთი

№20 (701)
ოთხშაბათი
14 ივნისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

ოპოზიცია ქილაში ჩაყრილი მორიელებივით დარჩა

ნაცებს, შმაცებს და შმაცნაცუნებს ტარაკუა დაესხათ

შეხვედრა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში ევროკავშირის ელჩს პაველ ჰერჩინსკისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებს ვახშამზე უმასპინძლა.

მთავრობის მეთაურმა დიპლომატებთან ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი არაფორმალურ გარემოში განიხილა. საუბარი შეეხო კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოსთვის განსაზღვრული 12 რეკომენდაციის შესრულების დინამიკას.

შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას.

ირაკლი ღარიბაშვილი: გადავწყვიტეთ, რომ ქვეყანაში ავტომობილების ევრო 5-ის სტანდარტი შემოვიღოთ

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს პრაქტიკაში ნიშნავს, რომ 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტი შეიზღუდება.

„პირველი საკითხი ეს არის ჰაერის დაბინძურების საკითხი, რომელიც ჩვენ ყველას გვაწუხებს, ჩვენს ხალხს, მოსახლეობას, საზოგადოებას. ჩვენს დედაქალაქში და ასევე მსხვილ ქალაქებში არის ძალიან დიდი პრობლემა. ამის თაობაზე დეტალური კვლევები ჩაატარა გარემოს ეროვნულმა სააგენტომ და მინდა ამის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება გაგაცნოთ.

პირველ რიგში, მინდა საზოგადოებას შევახსენო, რომ ჩვენ უკვე დიდი ხანია, რამდენიმე წელია დავაწესეთ სტანდარტი საწვავზე და ევრო 5-ის სტანდარტის საწვავი შემოდის საქართველოში. ამას, რა თქმა უნდა, მუდმივად მონიტორინგს უტარებს შესაბამისი სამსახური, გარემოს ეროვნული სააგენტო. ჩვენ წელს ასევე, დიზელი იყო დარჩენილი, დიზელზეც მივიღეთ გადაწყვეტილება და ევრო 5-ის სტანდარტის დიზელი შემოდის და ბენზინიც და ხდება რუტინულად შემოწმება ხარისხის. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ზოგადად დღეს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა რაც დარჩა, ეს არის ჰაერის დაბინძურება, რაც დაკავშირებულია ძალიან ბევრი გაუმართავი ავტომობილის გამო. მოგეხსენებათ, რომ ეს პირდაპირ კავშირშია ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებასთან და ვფიქრობთ, ეს ყველაფერი დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც. ჩვენ ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ ქვეყანაში ავტომობილების ევრო 5-ის სტანდარტი შემოვიღოთ. ეს პრაქტიკაში ნიშნავს, რომ 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტი შეიზღუდება. ჩვენი სურვილი და გადაწყვეტილება ასეთია, რომ რეგულაცია მსუბუქი ავტომობილებისთვის უკვე შევიდეს ძალაში 2024 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო ავტობუსების და სატვირთო ავტომობილებისთვის 2025 წლის პირველი იანვრიდან, ამაზე ჯერ კიდევ ვმსჯელობთ, არსებობს გარკვეული მოსაზრებები და ამის თაობაზე გვინდოდა, რომ უფრო მეტი გონივრული ვადა მიგვეცა.

მინდა ავხსნა უფრო კონკრეტულად, რომ აღნიშნული თარიღებიდან ქვეყანაში ვეღარ დარეგისტრირდება ევრო 5-ის სტანდარტზე ცუდი ხარისხის ავტომობილი. მიღებული გადაწყვეტილება არ შეეხება ქვეყანაში, რა თქმა უნდა, უკვე არსებულ ავტომობილებს, როგორც რეექსპორტისა და ტრანზიტის მიზნებისთვის შემოსულ ავტომანქანებს“, - განაცხადა პრემიერმა.

კახა კალაძე: გვახსოვს რამხელა დარტყმა მიიღო თბილისმა

2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიიდან 8 წელი გავიდა. ტრაგიკულ თარიღთან დაკავშირებით 13 ივნისის მემორიალთან სტიქიის შედეგად დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გაიმართა, რომელსაც დედაქალაქის მერი კახა კალაძე დაესწრო და მემორიალი გვირგვინით შეამკო.

დედაქალაქის მერმა პატივი მიაგო გარდაცვლილთა სულებს და კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა მათ ოჯახებს და ახლობლებს.

„2015 წლის 13 ივნისი ძალიან მძიმე ასოებით ჩაიწერა საქართველოს და დედაქალაქის ისტორიაში. გვახსოვს, რამხელა დარტყმა მიიღო თბილისმა - ათეულობით გარდაცვლილი ადამიანი, დანგრეული ინფრასტრუქტურა, განადგურებული კონკრეტული ადგილები.

რთულია იმ დარტყმის სიტყვებით გადმოცემა, რასაც ვგრძნობდით ამ ქალაქში მცხოვრები თითოეული ადამიანი. ერთადერთი, რაც ძალიან კარგი იყო, ეს იყო ახალგაზრდების გამოჩენა, ის ერთიანობა და ერთობა, რაც იგრძნობოდა მომდევნო დღეების განმავლობაში.

მინდა, კიდევ ერთხელ მივუსამძიმრო გარდაცვლილთა ოჯახებს, მათ ახლობლებს და ნათესავებს, ასევე, მადლობა გადავუხადო ყველა იმ მოქალაქეს, ვინც ჩართული იყო გაწმენდით და აღდგენით სამუშაოებში. ეს იყო დღე, როდესაც არ არსებობდა დიდი და პატარა. ყველა ვიყავით ერთიანი და საერთო ძალისხმევით ვებრძოდით სტიქიას. ეს იყო დღე, რომელმაც დაგვანახა, რამხელა ძალა აქვს ერთიანობას და ერთობას“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მემორიალთან ასევე იმყოფებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე და თბილისის მერის მოადგილეები - ირაკლი ბენდელიანი, ანდრია ბასილაია და კახაბერ გულედანი.

2015 წელს, ვერეს ხეობაში განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად დაიღუპა 21 ადამიანი, ხოლო დღემდე დაკარგულად ითვლება 2 პირი.

პრემიერი-ვმუშაობთ კანონპროექტზე, რომლის მიხედვითაც სუროგაცია მხოლოდ ჩვენი მოქალაქეებისთვის იქნება დაშვებული

„სუროგაციის საკითხი საზოგადოების დიდ ნაწილს აწუხებს და უფრო კომპლექსური საკითხია, ვინაიდან ეს უკავშირდება ზოგადად ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას, ქვეყნის იმიჯს და აშ.. რამდენიმე ხნის წინ ჩვენ შევქმენით დემოგრაფიის საკითხებზე მომუშავე საბჭო. ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, რაც გამოიკვეთა, ეს არის სუროგაცია და ზოგადად ამასთან დაკავშირებული პრობლემები. იცით, რომ უცხოეთის მოქალაქეებს ბიზნესად აქვთ ქცეული ეს საკითხი და ბოლო წლებია საერთოდ არავითარი რეგულაცია არ არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ შევისწავლეთ ევროპის მაგალითები, ბატონი ზურა აზარაშ-

ვილის უწყება მუშაობდა დიდი ხანია ამ თემაზე, გეტყვით, მაგალითები მინდა მოგიყვანოთ: მაღალგანვითარებული ქვეყნები, როგორებიცაა საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, შვეიცარია, შვედეთი, ფინეთი, იტალია, ლიტვა, ესტონეთი, აღარ გავაგრძელებ, მთლიანად არის აკრძალული, სრულად არის აკრძალული სუროგაცია. არის ქვეყნები, სადაც ნაწილობრივ არის დაშვებული, ჰიბრიდული მოდელი არსებობს, ქვეყნები, როგორებიც არის ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია. ჩვენ გვქონდა ამის თაობაზე მსჯელობა, ახალი კანონპროექტის მიხედვით, ჩვენი სურვილი არის, რომ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის იყოს დაშვებული. ანუ, უცხოეთის მოქალაქე ვეღარ შეუკვეთავს, ასე ვთქვათ, უხეშად არ მინდა ვთქვა, მაგრამ ხდება პირდაპირ შეკვეთის განთავსება. ეს ონლაინაც არის, ძალიან ბევრი რეკლამაც ვრცელდება და ვფიქრობ, ძალიან შემაშფოთებელია ამ საკითხის რეგულირების გარეშე დატოვება. ამას წინათ გვქონდა ჩვენ მთავრობის სხდომაზე მსჯელობა ამასთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი რეკლამები ვრცელდება და ჩვენს მოქალაქეებს, ქალბატონებს სთავაზობენ ე.წ. სარფიან ბიზნესს. შემდეგ არავინ არ იცის აქ დაბადებული ბავშვი ვის გაჰყავს, რომელ წყვილს გაჰყავს, არსებობს ინფორმაციები, შეიძლება ერთსქესიან წყვილებს გაჰყავთ აქ დაბადებული ბავშვები და უამრავი პრობლემა შეიძლება იყოს. სხვა სირთულეებსაც გადააწყდა ჯანდაცვის სამინისტრო. ამიტომ, ამას სჭირდება რეგულირება. ამის თაობაზე ბატონი ზურა აზარაშვილის უწყება დამატებით მოგვახსენებს, შესაბამისი კანონპროექტი გაიგზავნება პარლამენტში და იმედი მაქვს, რომ ჩვენი პარლამენტი მხარს დაუჭერს ჩვენს ამ ინიციატივას. აუცილებელია დარეგულირდეს და კიდევ ვიმეორებ, ეს მხოლოდ დაშვებული იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის. ბევრი არის მსურველი, მე ვიცი, ვისაც შვილი არ უჩნდება, ამიტომ მიმართავენ ამ მეთოდს, სუროგაციის მეთოდს და რა თქმა უნდა, მათთვის ეს უნდა იყოს დაშვებული, საქართველოს მოქალაქეებისთვის საქართველოში. ეს რა თქმა უნდა, ერთის მხრივ, ძალიან დაეხმარება დემოგრაფიას და ზოგადად, ვფიქრობთ, ეს შესაძლებლობა უნდა დავუტოვოთ ჩვენს მოქალაქეებს“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველო უპირველეს ყოვლისა

ვატო შაქარაშვილი, სახალხო მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელი:

მინდა, ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ცხოვრობს პრინციპით — საქართველო უპირველეს ყოვლისა, ჩემი გულითადი პატივისცემა გამოვხატო. ორი დღის წინ რუსთაველის თეატრში შეხვედრა გავმართეთ. იქ შეკრებით საზოგადოებამ სამშობლოს სიყვარული, გვედრით დგომა დაადასტურა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. შეკრებილი ხალხის ოდენობამ ცხადყო, რომ მას უკიდურესად აწუხებს და აშფოთებს შექმნილი რეალობა, რაც ჩვენს გარშემო ხდება — დღეს ყოველგვარი უკუღმართობა ნორმად ითვლება, სამშობლოს სიყვარულს კი პრო-რუსობას უწოდებენ.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების დღიდან ხელისუფლება საოცარ სიმტკიცეს იჩენს, რაც მისასალმებელია. არსებობს გარკვეული თემები, რაზეც პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ უნდა აიღოს. ასევე, არსებობს საკითხები, რაც საზოგადოების პასუხისმგებლობაა. ჩვენი სურვილი ამ მოძრაობის საზოგადოებასთან ერთად შექმნა იყო.

მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერაზე არაა საუბარი. ოპოზიციის არარსებობა მმართველ გუნდსაც საფრთხეს უქმნის. სამოქალაქო საზოგადოებისგან ჯანსაღი, კონსტრუქციული ოპონირებაა საჭირო. ჩვენ არც ძალაუფლება გვინდა, არც საპარლამენტო მანდატი და არც რაიმე თანამდებობა. ხელისუფლებას მაქსიმალურად დავეხმარებით, გავამაგრებთ, გვერდით დავუდგებით, მაგრამ თუ რამე შეეშლებათ, პასუხსაც მოვთხოვთ. ხელისუფლებასთან ბევრი საკითხი გვაქვს გასავლელი, რაც დღეს რიტორიკის დონეზეა. მაგალითად, ჩვენ ვაპირებთ საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას და ამ კუთხით ხელისუფლებასთან თანამშრომლობას. ის, რაც რიტორიკის დონეზე მოგვწონს და კარგია, საქმედ უნდა ვაქციოთ. შევთავაზებთ კანონს, რომელიც ნებისმიერი ადამიანის ღირსებას და პატივს დაიცავს. გარდა საკანონმდებლო ინიციატივებისა, ორგანიზატორები აქტიურად ვივლით რეგიონებში, გავმართავთ შეხვედრებს, ამ კანონების უკან, თავად ხალხს დავაყენებთ. ლიბერალებმა ადამიანის მორალური შეურაცხყოფა გამოხატვის თავისუფლებად გადმოთარგმნეს. დიახ, შეურაცხყოფას გამოხატვის თავისუფლებად ასაღებენ. ახლა, ლგბტ-ს კვირეული ახლოვდება. ლგბტ პროპაგანდა, თავსმოხვევა ღიად ხდება. ესეც კანონის დონეზე უნდა დავარეგულიროთ.

კონსერვატიული გაერთიანება „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ მხოლოდ ჩვენი წევრებისთვის როდია, არამედ ეს სახალხო მოძრაობაა. ჩვენს წევრებსა და რიგით მოქალაქეებს შორის განსხვავება არ არის, ამ ბრძოლაში ყველანი თანაბარნი ვართ. ამ მოძრაობის დამფუძნებელი მხოლოდ მე და ჩემი მეგობრები კი არ ვართ, არამედ ყველა ვინც იმ დღეს რუსთაველის თეატრში მოვიდა — თქვენ და ის ხალხი ხართ დამფუძნებლები, ინიციატორებიც, წევრებიც და სულისჩამდგმელებიც. სახალხო მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა საქართველოში მშვიდობის მიღწევაში ჩვენი წვლილის შეტანა იქნება.

ირმა სანაძე, მხატვარი: საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა გავბედოთ და თამამად ვიმოქმედოთ. სამოქალაქო საზოგადოება ნაცებს უნდა დაუპირისპირდეს. ისინი ქუჩაში გამოსვლას ვერ უნდა ბედავდნენ. 2012 წელს ხალხის შიშით გარეთ ვერ გამოდიოდნენ, ახლაც ასე იქნება. სამოქალაქო საზოგადოება მათ თავის ადგილს მიუჩენს. კონსერვატიზმს მასხრად იდგებენ, მაგრამ ასე აღარ გაგრძელდება. წითელი ხაზები გავლებულია. ლიბერასტები ეკლესიას, პატრიარქს, ჯარს, სახელმწიფოს, პოლიციას, ყველას და ყველაფერს აგინებენ. ეს უნდა დასრულდეს.

12 ივნისს შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრში ახალგაზრდა კონსერვატორებმა, საზოგადოებასთან ერთად, სამოქალაქო მოძრაობა – „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ შეკრება გამართეს

საბედნიეროდ, გამოჩნდა, რომ ჩვენსავით მოფიქრალი ადამიანები ცოტანი არ არიან. ნაცები, უბრალოდ, ჩანან, თორემ მათ ბევრად აღვემატებით.

ჩვენ არ ვართ ევროპელები, არც აზიელები, ჩვენ ვართ კავკასიელები. მრავალი საუკუნეა ჩვენი რელიგიით, კულტურით, წესითა და ადათით მოვდივართ. ისინი რაც არ უნდა ეცადონ, ჩვენგან ახალ ადამიანს ვერ შექმნიან.

ნუცა ლომაძე, აქსესუარების დიზაინერი: მინდა წყნარი, მშვიდობიანი, დალაგებული, თავისუფალი ქვეყანა გვქონდეს. ჩემი ამოცანაა, ყურადღება ახალგაზრდების განათლებას მიექცეს. ბავშვები პოლიტიკურად განათლებულები არ არიან. ღირებულებები შეცვლილია, მეგობრობა, სიყვარული, რაც მთავარია, ქართველობა აღარავის უნდა. ეს საშინელებაა. ქართველებს რაღაცის გამო ხომ გვაფასებდნენ, ეს ჩვენი ღირებულებებია, რამაც საუკუნეები გაგვაძლებინა, გადავრჩით და ვარსებობთ. ეს უნდა დავიბრუნოთ. 24 თებერვლიდან და მანამდეც, ხელისუფლება მშვიდობის შესანარჩუნებლად ღონეს არ იშურებს. სამწუხაროდ, დღეს ნაცების, ენჯეოების დღის წესრიგით ვცხოვრობთ. ქვეყანა საფრთხეშია, შველა დროულად უნდა.

ჩემთვის მთავარი, როგორც დედისთვის, შვილების ნათელი მომავალია. ბავშვს სამშობლოს სიყვარული დაბადებიდან უნდა ჩაუნერგო. დღევანდელ ახალგაზრდებს, სამწუხაროდ სამშობლოს განცდა არ აქვთ.

რატი აბაკელია, იურისტი: საქართველოს მოქალაქე ვარ, სოციალურ ქსელში არ ვაქტიურობ, მაგრამ საზოგადოებისთვის იმდენი ნეგატიური, უარყოფითი, არასწორი ინფორმაციის მიწოდება ხდება, იმდენი ღვარძლი და შური ინთხევა, ჩემი წყობიდან გამოყვანაც კი მოახერხეს და გადავწყვიტე ამ მოძრაობაში ჩავრთულიყავი. ჩვეულებრივ შეუძლიათ ადამიანს ცილი დასწამონ, ცრუ ინფორმაციით ტალღა ააგორონ, შინაარსში არც შევიდნენ, კრიმინალის სურათს შენი სახე მიაკრან, ატვირთონ და თქვან, რომ კრიმინალი ხარ და მერე, შენ თავი უნდა იმართლო. ჩეკისტურ მეთოდებს მიმართავენ — ადამიანს ათას სისაძაგლეს დააბრალებენ და მერე მან თავი უნდა იმართლოს. სანამ ფაქტამდე მიხვალ, სრულ ტურბულენტობაში გამყოფებენ. უცებ, ვიღაც გამოვარდება და მოლოტოვის კოქტეილს გესვრის. ეს ხომ დავალებაა. ასე რომ, ქვეყანა ერთად, დროულად უნდა გადავარჩინოთ.

დაჩი ცაგურია: დიდება საქართველოს! საზოგადოებას ჩვენი ქვეყნის კულტურული მექიდან მივმართე, რაც დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. სამწუხაროდ, ისე ხდება, რომ კვლავ შეხვედრები, ბრძოლა, თავის დაცვა გვიწევს ამ ჭინკებისგან. ვერაფრით წარმოვიდგენდი იქამდე თუ მივიდოდით, რომ ქართველის გულით ნათქვამი — საქართველო უპირველეს ყოვლისა, ვიღაცისთვის საფუძველი იქნებოდა თითი გამოეშვირა და დაეძახა: ეს აგენტი, კრემლის მონაა. რამე თუ არ ვიღონეთ, ესენი, მალე ამ დიადი სიტყვების თქმასაც აგვიკრძალავენ. ისინი პროექტის ნაშობნი არიან და ყველას — პოლიტიკოსს, ენჯეოშნიკს, ჟურნალისტს ერთი მესიჯბოქსი აქვთ. ჟურნალისტი მოდის და პირდაპირ გეუბნება: აბა, თქვი, პუტინ ხუილო, შეაგინე ქურდებს და ა.შ. მათ წარმოებულ ბულინგს საზღვარი არ აქვს — თუ იმ სიტყვას იტყვი, რაც მათთვის მიუღებელია, მაშინვე მონის იარლიყს მოგაწებებენ და გაგთელავენ. ამ ყველაფერს წინ უნდა აღვუდგეთ. რა თქმა უნდა, ევროპა ჩვენთვის ძვირფასია. ბოლობოლო, ის გელათის, იყალთოს აკადემიის ერთ-ერთი საფუძველია. დიახ, სწორედ ქრისტიანული ღირებულებებია ის მთავარი საფუძველი, რაზეც ევროპა აშენდა. ხალხი, ვინც ორი დღის წინ რუსთაველის თეატრში სულისკვეთებით — საქართველო უპირველეს ყოვლისა, შევიკრიბეთ, ყველანი ძირძველი ევროპელები ვართ. კი ბატონო, მოხარული ვიქნები თუ ევროკავშირის წევრი გავხდებით, რაც ისტორიულად გვეკუთვნის კიდეც და სამართლიანი გადაწყვეტილებაც იქნება. თუ ევროკავშირში გაერთიანების ფასი ის არის, რომ ჩვენი სამშობლო ცეცხლის ალში გავხვიოთ, დიდი ბოდიში, მაგრამ ეს არცერთ ქართველს ამად არ უღირს.

ირაკლი ბათიაშვილი: პოლიტიკას რა ხანია განვერიდე, უკვე 62 წლის ვხდები და ახალგაზრდებისთვის დამითმია გზა ფართო. მსურს, ჩემი გულწრფელი მხარდაჭერა, ღრმა გულშემატკივრობა გამოვხატო იმ ინიციატივისადმი, რასაც „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ — კონსერვატიული გაერთიანება ჰქვია. ეს ბრწყინვალე რამ არის. ჩემი მხარდაჭერა სამ ფაქტორს ეფუძნება: პირველი, ეს გახლავთ თავად კონსერვატიული მსოფლმხედველობა, რასაც სიღრმისეულად, სისხლხორცეულად ვიზიარებ და დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის, ეს ორგანულად მახლობელია. საზოგადოების ნაწილს — უმეცარ ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს და ა.შ. ჰგონიათ, რომ კონსერვატიზმი პრო-რუსულობას ნიშნავს, ეს უვიცობაა. სინამდვილეში, კონსერვატიზმის მსოფლმხედველობა დასავლური ცივილიზაციის წიაღიდან მოდის. მას უდიდესი ადეპტები ჰყავდა, როგორებიც იყვნენ ბიორკი, ბისმარკი, ელიოტი, ჩერჩილი, დეგოლი და სხვა მრავალი. ხოლო როცა საქართველოზე ვსაუბრობთ, კონსერვატიზმის არსი ყველაზე ზუსტად ჩვენმა დიდმა ილიამ სამ სიტყვაში გამოხატა — მამული, ენა, სარწმუნოება. ამიტომ ვართ ჩვენ კონსერვატორები. მეორე ფაქტორი რის გამოც ამ მოძრაობას მხარს ვუჭერ, თავად ის ხალხია, ვინც ამ საქმეს სათავეში უდგას. მათ კარგად ვიცნობ. ამ ადამიანების მჯერა და მწამს. ვატო შაქარაშვილი ბრწყინვალე ახალგაზრდა კაცია, რომელსაც ყველა ის თვისება აქვს, რაც დღეს საქართველოში საღი იდეოლოგიის, აზრის გატანას სჭირდება.

მესამე ფაქტორი კი გახლავთ ის, თუ რა პრობლემების, გამოწვევების წინაშეა დღევანდელი საქართველო და ზოგადად, მსოფლიო. მას კონსერვატიზმი სასიცოცხლოდ სჭირდება. აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ერთ-ერთი გამოსვლიდან ნათქვამი შესანიშნავი სიტყვები, ასე გადმოგცეთ: ჩვენ ვალდებულნი ვართ, სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად, ჩვენი ქვეყანა — საქართველო და ჩვენი დიდი ქრისტიანული ცივილიზაცია, ამ თანამედროვე ბარბაროსების, ნეომარქსისტების, გლობალისტების, ფსევდო-ნეოლიბერალების შემოტევისგან დავიცვათ.

გოგა ხაინდრავა: რუსთაველის თეატრში შეკრებილმა საზოგადოებამ ყველას დაანახა, რომ ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ, ისინი კი — ცოტა. ამ მედიასაშუალებებს ტყუილად როდი ვეძახი საროსკიპოებს. იქ ყველაფერი იყიდება — სული, ხორცი, გონება, სამშობლო, შვილები. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჯანსაღი საზოგადოება მეტნი ვართ, რომელთათვისაც საქართველოა უპირველეს ყოვლისა. ყველაზე მეტად, მტერს ჩვენი ერთობის ეშინია. წლების განმავლობაში დანაწევრებულები ვიყავით, ერთად არ ვჩანდით, მაგრამ მთელ მსოფლიოში დადგა დრო, ეს ერთობა ყველას დავანახოთ. მესამე მსოფლიო ომი მძვინვარებს და არავინ იცის, რა დასასრული ექნება. იმის გარანტია, რომ ერთ დღესაც ღილაკს თითს არ დააჭერენ, არ არსებობს, რადგან ორივე მხარეს გაშმაგებული ხალხი დგას. დიახ, ორი შმაგი იმპერია — ნატო და რუსეთი ერთმანეთს დაეტაკა. ჩვენ, ამ ომის მასშტაბები არ ვიცით, რადგან ყველა გვატყუებს. მსოფლიოში მედია აღარ არსებობს. უკრაინა ჩვენს თვალწინ გაანადგურეს.

არცერთი ე.წ. დემოკრატიული ქვეყნის ლიდერი არ ამბობს: შეჩერდითო! მსოფლიოში მხოლოდ ოთხი ქვეყანაა, რომელიც ბედავს თქვას: ომი უნდა დასრულდეს! ჩემდა საამაყოდ, ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა საქართველოა. ჩვენი პრემიერი მთელ მსოფლიოში დადის და მშვიდობაზე საუბრობს. მართალია, მას იქ „იბარებენ“ — ხან ბრიუსელში „დაიბარეს“, ხან ბრატისლავაში, ხან კატარში, ხან კიშინიოვში, მაგრამ რაც მთავარია, ყველგან მსოფლიოს მშვიდობისკენ და ომის დასრულებისკენ მოუწოდებს. მეამაყება, რომ დღეს ჩვენ სუვერენული ქვეყნის შვილები ვართ. მსოფლიოში უნაკლო ხელისუფლება არ არსებობს. ჩვენ ერთი, მთავარი უპირატესობა გვაქვს: დღევანდელი ხელისუფლება საკუთარი ხალხის დავალებას, ნებას ასრულებს და მის ინტერესებს იცავს. მთავარი მოწოდება მშვიდობის შენარჩუნებაა.

მოამზადა
თამარ შველიძემ

ოპოზიცია ქილაში ჩაყრილი მორიელებივით დარჩა

გვესაუბრება პოლიტოლოგი, მეცნიერი პეტრე მამრაძე:

— ბატონო პეტრე, წინა კვირის მთავარი თემა, მედიის მთელი ყურადღება შოლცისა და ღარიბაშვილის შეხვედრაზე იყო მიპყრობილი. გაიჟღერა, რომ გერმანია საქართველოს ევროკავშირისკენ მავალ კურსს მხარს უჭერს...

— ამ შეხვედრას უაღრესად დადებითად ვაფასებ. გერმანია ევროპაში ყველაზე ძლიერი ქვეყანაა. მისი როლი ძალიან დიდია. სხვათა შორის, აღნიშვნის ღირსია, რომ გერმანიამ ბოლო დროს კურსი შეცვალა და უკრაინას აქტიურად ეხმარება. მკითხველს შევახსენებ: შარშან, 24 თებერვლის შემდეგ, შოლცი კატეგორიულად აცხადებდა: გერმანია უკრაინას იარაღით არ დაეხმარებაო. მეტიც, ის სხვა ქვეყნებს უკრძალავდა, მისგან შეძენილი იარაღი უკრაინისთვის გადაეცათ. ეს კატეგორიული პოზიცია განპირობებული იყო შემდეგით — გერმანიას რუსეთთან დაპირისპირება არ უნდოდა. თუმცა, მოგვიანებით საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად, შოლცმა ნაბიჯ-ნაბიჯ პოზიციის შეცვლა დაიწყო და დღეს უკრაინას ეხმარება. ნაცები შოლცისა და ღარიბაშვილის შეხვედრაზე რას აღარ თხზავდნენ. მათ სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენება სურთ საკუთარი ვიწრო ინტერესების დასაკმაყოფილებლად, სიმდიდრის მოსახვეჭად და ა.შ. ისინი ფანატიკოსები როდი არიან, არამედ ნებისმიერ ფასად პირადი ინტერესებისთვის იბრძვიან. წარმოიდგინეთ, სააკაშვილს რომ ჰქონოდა ვიზიტი შოლცთან, როგორ გააპიარებდნენ ამას მისი მედიასაშუალებები, რომლებიც იღაღადებდნენ: ეს დიდი დაფასებაა, შოლცი პატარა სახელმწიფოს პრემიერს, სააკაშვილს ხვდებაო. ახლა კი რას აცხადებდნენ? — შოლცმა ღარიბაშვილი დაიბარა, რათა მის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე პასუხი მოსთხოვოსო. რას ჰქვია დაიბარა?! ეს გამორიცხულია. მეორეც, მარაზმია, როცა პრემიერის ნათქვამით აღშფოთებულები არიან – უკრაინაში ომის დაწყებაში ნატო როგორ დაადანაშაულაო. გავიხსენოთ, რა თქვა ურსულა ფონ დერ ლაიენმა: დღეს უკრაინა რუსეთის მიერ იმის გამო ისჯება, რომ ევროპულ ოჯახში მიისწრაფვოდაო. ნაცები ამაზე ხმას არ იღებენ. ოჯახში იგულისხმება ნატო ან ევროკავშირი. კრემლის კორუმპირებული რეჟიმი მის საზღვართან მყოფი ქვეყნების ნატოსკენ სწრაფვას მწვავედ განიცდის. რატომ არ შეიჭრა რუსეთი ბელორუსში? — იმიტომ, რომ ლუკაშენკო ვასალია, რაც პუტინისთვის საკმარისია. ლუკაშენკო ნატოში არ ისწრაფვის. აბა, უკრაინელებს იანუკოვიჩი ჰყოლოდათ პრეზიდენტად, მაშინ თუ შეიჭრებოდა იქ რუსეთი?! ეს ხომ ელემენტარულია. იანუკოვიჩმა, როგორც კი პრეზიდენტად აირჩიეს, განაცხადა: ნატოში აღარ გვინდაო. ნატოს ოფიციალური პირები ამბობდნენ, რომ იანუკოვიჩის ამ განცხადებით, დიდი თავის ტკივილი მოიშორეს. უკრაინას ნატოში შესვლა რომ აღარ უნდოდა, ეს თავად ნატოს უფრო გაუხარდა, ვიდრე კრემლს. ნაცებმა მშვენივრად იციან, რა არის სიმართლე, მაგრამ ხალისით, ცინიზმით თაღლითობენ და ურცხვად ამბობენ შავზე — თეთრიაო. პირადად ვარ მათი თაღლითობების მომსწრე. ხალხი მათთვის არის მასალა, პირუტყვი, რომელსაც, რასაც ეტყვი, იმას დააჯერებ. სააკაშვილი სულ ამას ქადაგებდა: აჩვენე საჭირო სურათი ხალხს და მერე ის გაუკეთე, რაც გინდაო. აი, ასეთი ვითარებაა.

— დავუბრუნდეთ შეხვედრას. შოლცმა რეფორმების გატარებისკენ მოგვიწოდა. იგივე მოწოდება გააჟღერეს მანამდე ბორელმა და მიშელმაც, რომელთაც კიშინიოვის სამიტზე მოლდოვას მხარდაჭერა გამოუცხადეს, ჩვენ კი რეფორმებისკენ მოგვიწოდეს.

— რთული სათქმელია. საქმე ორმაგ სტანდარტებთან გვაქვს. ობიექტურად თუ ვიტყვით: მოლდოვასა და უკრაინაზე მეტად საქართველო კანდიდატის სტატუსს ჯერ კიდევ შარშან იმსახურებდა. ჩვენთან ახლახან ვიზიტით იმყოფებოდა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც თქვა: ჩვენ ვიცით, რომ საქართველო ჯერ კიდევ რუსეთ-უკრაინის ომამდე, თავისი მიღწევებით ბევრად წინ იყო, ვიდრე ზემოაღნიშნული ორი ქვეყანაო. მაშინ, რასთან გვაქვს საქმე? — პირველი, ნაცები უკვე ათი წელია, ინტენსიურად მუშაობენ, ლობისტებში უზარმაზარ ფულს ხარჯავენ, რათა დასავლეთში, ევროპარლამენტში თუ აშშ-ის კონგრესსა და სენატში შეექმნათ ლეგენდა, თითქოს ივანიშვილი რუსი ოლიგარქია და ფული პუტინის რეჟიმისგან, საქართველოში მიშას პროდასავლური რეჟიმის დასამხობად მიიღო. თურმე, სააკაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის, პროდასავლური კურსის გატარებისთვის მებრძოლია და ამიტომაცაა პუტინის პირადი პატიმარი. აი, ამ მოსაზრებებს ნერგავდნენ უცხოეთში. ხელისუფლება ამაზე პასუხს არ სცემდა. არადა, საჭირო იყო ინტენსურად სწორი ინფორმაციის მიწოდება. მასმედიაზე ლობიზმს დიდი ძალა აქვს. პიარკამპანია, რაც ნაცებმა ივანიშვილის წინააღმდეგ ააგორეს, ტოტალურ ტყუილზეა აგებული. **ივანიშვილის ფულით გატარდა ყველა ის რეფორმა, რაც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განხორციელდა: არმიის, პოლიციის, თანამედროვე საბაჟოების მშენებლობა და ა.შ.** ივანიშვილმა რუსეთში ფული იშოვა 90-იან წლებში და წინდახედულად დატოვა ეს ქვეყანა, სანამ პუტინი ხელისუფლებაში მოვიდოდა. მას მერე იგი რუსეთში აღარც ჩასულა. საინტერესო მომენტს შეგახსენებთ: ჯო მაკკეინი საარჩევნო პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა და სააკაშვილს უჭერდა მხარს. მიუხედავად ამისა, სენატის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ჯომ (მთელი დაზვერვის მონაცემები მასთანაც მიდიოდა) აღნიშნა, რომ ივანიშვილის მთელი ფულის წარმომავლობა შეამოწმეს და არავითარი რუსული ფული ამ პიროვნების უკან არ იმალება. ჩვენ გვახსოვს ისიც, როგორ უჭერდნენ ამერიკელები ივანიშვილს ღიად მხარს, როცა მისი ბანკის დარბევა და გაკოტრება დაიწყეს. ახლა გაიძახიან: სააკაშვილი შიმშილობსო, ესეც ტყუილზე აგებული პიარია.

თავის დროზე, ევროპის ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა სააკაშვილის რეჟიმზე სრული სიმართლე გამოაქვეყნეს. სტრასბურგის დასკვნაც თავის დროზე სააკაშვილის რეჟიმისთვის განაჩენი იყო. დასკვნაში ხაზგასმით არის აღნიშნული: ჩვენ დავინახეთ, რომ ხელისუფლების სამივე შტო, რომლებიც წესით ერთმანეთისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, დამნაშავეების დაფარვას წარმატებით ცდილობდნენ. სააკაშვილმა სტრასბურგში ამჯერადაც წააგო. ამ დროს ზოგი ევროპარლამენტარი მოგვიწოდებს: კეთილი ნება გამოიჩინეთ და მიშა ციხიდან გამოუშვითო. რა გამოდის, საქართველომ კანონის უზენაესობაზე ხელი უნდა აიღოს? რას ნიშნავს, კეთილი ნებით პატიმრის გამოშვება?! აი, ასეთი რთული ვითარებაა, რადგან საქმე ორმაგ სტანდარტებთან გვაქვს — ჭკუას ისინი გვასწავლიან, ვისაც წესით ამის უფლება არ აქვს!

— რაღა უნდა გაგვიკვირდეს, როცა ამ ევროპარლამენტარების რეზოლუციებში კეზერაშვილი დევნილ მედიამენეჯერად არის მოხსენიებული, ხოლო ივანიშვილი დასასანქციირებელ პირთა სიაშია...

— „ბი-ბი-სი“-ს გამოძიების მერე კეზერაშვილს იმდენად აღარ ახსენებენ, მაგრამ ამ სამარცხვინო რეზოლუციაში ხომ დარჩა. სამწუხაროდ, საქართველოში ეროვნული, სახელმწიფო ინტერესების ერთგული, კონსტრუქციული ოპოზიცია არ არსებობს, ვინც ხელისუფლებას ჯანსაღად გააკრიტიკებდა, თუნდაც კორუფციაზე მიუთითებდა და ა.შ. მსგავსი რამ ყველგან ხდება, მათ შორის, ევროპარლამენტში, რომლის დეპუტატები კორუფციის გამო დააპატიმრეს. ამის ნაცვლად რას აკეთებს ოპოზიცია? — ღარიბაშვილმა კაზინოების თემა რომ გააჟღერა, ოპოზიცია აყვირდა: ეს არ ქნაო, რადგან თავად აქვს ქერის ორმოში ხელი ჩაყოფილი. რეფორმების სწრაფად გატარებას წინ არაფერი დაუდგებოდა, კონსტრუქციული ოპოზიცია რომ გვყავდეს. მაგრამ ნაცები, ამის ნაცვლად, პროვოკაციას პროვოკაციაზე აწყობენ. ამიტომაც არ აქვთ ნდობა. ხელისუფლება მუდამ დაძაბულია, რადგან ოპოზიცია ჩასაფრებულ, ანტიეროვნულ პოზიციებზეა. როდესაც სახეზეა ჩასაფრებული, ეროვნული ინტერესის საწინააღმდეგოდ მომუშავე დაჯგუფება, რეფორმები მაშინვე მუხრუჭდება. ადრე, ჩვენთან ვიზიტის დროს ოლბრაიტმაც აღნიშნა: **ეს ოპოზიცია კი არა, არამედ ანტიეროვნულად განწყობილი დაჯგუფებაა. ჩვენ ოპოზიცია არ გვყავს.**

— რადგან ოპოზიციაზე საუბრობთ, გვითხარით, რა ხდება მის თავს. ხაბეიშვილმა განაცხადა: „ქართულ ოცნებაზე“ გამარჯვების გასაღები „ნაცმოძრაობაშია“...

— კი, ხაბეიშვილმა დანარჩენ ოპოზიციას მის პლატფორმაზე შეერთება შესთავაზა, მაგრამ აღნიშნა: სიის შედგენის უფლებას არ მოგცემთო. საქმე ისაა, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი რამ მოხდა: კანონი მიღებულია, რომლის თანახმად, არჩევნებზე ბლოკები აღარ იქნება, პარტიები მხოლოდ სიით შეძლებენ მანდატების მოპოვებას. პარტია სიას წარმოადგენს, ეს ამ პარტიის სია იქნება. თუმცა, მიშას ამომრჩეველს არც აინტერესებს, ვინ მოხვდება მის სიაში, რადგან ის პიროვნულად სააკაშვილს აძლევს ხმას. ხაბეიშვილის თავმჯდომარედ არჩევაც მიშას ხელდასხმით მოხდა. მისი ნების გარეშე, ვერც კეზერაშვილი და ვერც მერაბიშვილი ვერაფერს გააკეთებდნენ. ხაბეიშვილის არჩევა მიშას ნება რომ იყო, იცით, როდის დადასტურდა? — როცა ხაბეიშვილი გიული ალასანიას პოლონეთში მიშასთვის მინიჭებული ორდენის წამოსაღებად გაჰყვა. ეს მხოლოდ სააკაშვილის პრეროგატივა იყო. დავაკვირდეთ კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს: „აირაის“ გამოკითხვის თანახმად, „ნაცმოძრაობის“ შედეგი 5-6% იყო. იმავე პერიოდში გამოკითხვა „ენ-დი-აიმ“ ჩაატარა და მიხეილ სააკაშვილი — „ნაცმოძრაობის“ შედეგი 15% დაფიქსირდა. ეს ის ბირთვული ელექტორატია, რომელიც არჩევნებზე ყოველთვის მიდის და ხმას სააკაშვილს აძლევს.

— ახალი პოლიტიკური ცენტრის სათავეში სააკაშვილს მოიაზრებენ...

— მისი პრემიერობა შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ მას საქართველოს მოქალაქეობა არ აქვს. დედამისმა: მიშა უკრაინას სჭირდებაო. რა თქმა უნდა, ასეა, იქ ხომ დიდი ფული იშოვება. დავაკვირდეთ, რა ხდება. ნაცები დანარჩენ ოპოზიციას ეუბნებიან: ჩვენ პარლამენტში ჩვენი ადგილი გვაქვს, თქვენ კი 2020 წლის არჩევნებზე ბარიერი რომ ყოფილიყო დაწესებული, საკანონმდებლო ორგანოში ვერცერთი ვერ შემოხვიდოდითო. ასეთ შემთხვევაში მართლაც მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ნაცები შევიდოდნენ. ერთადერთი „სტრატეგია აღმაშენებელმა“ განაცხადა: სააკაშვილის გარეშე მოგება შეუძლებელი იქნებაო. ანუ თუ მათ ვაშაძე შეუერთდება, ის „ნაცმოძრაობის“ პარტიის სიაში უნდა ჩასვან — ის ნაცი იყო და ნაცადვე დარჩება. დანარჩენები ამბობენ: ჩვენ არ გვინდა იმ პარტიაში, რომელსაც მერაბიშვილი ხელმძღვანელობსო. მათიც მესმის. განა, რამდენ კაცს ჩაწერენ იმ სიაში? თან, იქ დისციპლინაა — რასაც მერაბიშვილი იტყვის, ის ულაპარაკოდ უნდა გაკეთდეს. რა გზა რჩებათ? — ბლოკები აკრძალულია. წესით, მათ რამდენიმე პარტიის შერწყმა უნდა მოახდინონ, ახალი პარტია უნდა შექმნან და სია წარადგინონ. აი, ეს თუ უშველით, მაგრამ ამაზე არ მიდიან. ეს გაუგებარი დაპირისპირებები, ქაოტური მოძრაობები იმის მანიშნებელია, რომ ისინი მორიელებივით ქილაში ჩაყრილები დარჩნენ. მათ იციან, რომ დამოუკიდებლად ბარიერს ვერ გადალახავენ. ეს შეიძლება მხოლოდ „ლელომ“ შეძლოს, ისიც ხმების ყიდვით. თუმცა ეს რთული იქნება — საქართველოს დიდი ნაწილი ხაზარაძეს და ჯაფარიძეს როგორც მევახშეებს ისე უყურებს. ესაა პრობლემა. დავუბრუნდეთ ხაბეიშვილს. რის გამო მოხდა მისი არჩევა? — მთავარი მიშას ციხიდან გამოშვება იყო. სხვა ლოზუნგი არ არსებობდა. თუ ხაბეიშვილს სურს არჩევნებზე ხმები მიიღოს, ამ დროს კი მას ნული რეიტინგი აქვს, როგორ უნდა მოიქცეს? — მიშას ელექტორატი უნდა დაარწმუნოს, რომ მისი წარმომადგენელია. თუ ეს მიშას ნებით მოხდება, მაშინ თუნდაც ბოლოკაძე იყო, პარლამენტში მაინც შეხვალ. ამაზე მიდიოდა პარტიის შიგნით ჭიდაობა — არა მე ვარ მიშა და არა მეო, სააკაშვილის ელექტორატს ყველა თავისკენ ქაჩავდა. რიგი პარტიები ამ მატარებელში ვეღარ ჩაჯდებიან. ასე რომ, საინტერესო ვითარება მივიღეთ, რაც ორმა რამემ განაპირობა — ბლოკის გაუქმებამ და ბარიერის შემოღებამ. 5%-იანი ბარიერის გადალახვა მაშინ, როცა რამდენიმე ევროპარლამენტარის გარდა არავის უნდიხარ, ადვილი არ იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რუსეთ-უკრაინის ომი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პოლიგონია

გვესაუბრება
პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე:

— ქალბატონო თამარ, მუდმივად გვესმის: რუსეთი მარცხდება, უკრაინა იმარჯვებსო. ბრიტანეთის პრემიერმა ისიც კი განაცხადა: უკრაინას წელს შანსი აქვს, ყირიმი დაიბრუნოს, რადგან რუსეთს ყველა რესურსი ამოწურული აქვსო. რა ხდება, რეალურად, ფრონტის ხაზზე?

— ეს უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე გლობალური ომია, მისი თანმდევი საინფორმაციო ომია, რომელიც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ვინც რუსეთ-უკრაინის ომში ჩაუზედავია, მას ნამდვილად ეგონება, რომ ხვალ რუსეთი დამარცხდება. სინამდვილეში, ასე არ არის. პუტინმა ისიც კი განაცხადა: ეს სამოქალაქო ომიაო. უკრაინის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ბევრია მაღალჩინოსანი რუსული გვარით და პირიქით, რუსეთში — უკრაინული გვარით. სამწუხაროა, რომ დღეს ევროპის შუაგულში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს და ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იღუპება. დასავლეთს დიდი რესურსები აქვს, რათა მისთვის სასურველი ინფორმაცია გაავრცელოს. შესაბამისად, ჩვენს ზოგ მოქალაქეს მართლაც სჯერა, რომ რუსეთი სასტიკად დამარცხდება და უკრაინა ტერიტორიებს უკან დაიბრუნებს. საკითხი ასე მარტივად არ დგას. რუსეთ-უკრაინის ომი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პოლიგონია. ომის შედეგებით ბევრი რამ გადაწყდება.

— როგორ ფიქრობთ, კახოვკის ჰესის აფეთქების შემდეგ, ზაპოროჟიეს ელექტროსადგურის აფეთქების საფრთხეც არსებობს?

— კახოვკის კრიზისს რაც შეეხება, როგორც ამბობენ, არსებობს შანსი, რომ ელექტროსადგური აღდგეს. ასე რომ, არც ისე წვიმს, როგორც ქუხს. პროცესები საინფორმაციო საშუალებების მიერ უტრირებულია. უკრაინელებს რომ ჰკითხოთ, რუსეთმა ჰესი იმიტომ დააზიანა, რომ კონტრიერიშის ეშინოდა. რუსებს თუ დავუჯერებთ, უკრაინელებმა ელექტროსადგური თავად დააზიანეს. ორივე ერთმანეთს აბრალებს. ნებისმიერ შემთხვევაში, პროცესი არასასიამოვნოა. ყველაზე ცუდი ეკოლოგიური კატასტროფის შედეგი და იმის საშიშროებაა, რომ რუსეთმა ატომური იარაღი არ გამოიყენოს. იმედია, რომ ამას არ გააკეთებს. ზაპოროჟიეს ელექტროსადგურის აფეთქება ძალიან დიდ კატაკლიზმებს გამოიწვევს და გაცილებით უფრო კატასტროფულ შედეგს მივიღებთ, ვიდრე ჩერნობილის დროს იყო. არ მგონია, რუსები იმდენად სულელები იყვნენ, რომ რეგიონში, სადაც საფრთხე თავადაც შეექმნებათ, ეს გაბედონ. შედეგი რუსეთისთვისაც უმძიმესი იქნება.

— ამის რეალური საფრთხე არსებობს?

— არ მგონია, თუმცა ტაქტიკური იარაღის გამოყენების შესაძლებლობა არის. თუმცა რუსები ბირთვული იარაღის გამოყენებას ყოველთვის უარყოფენ. ამერიკელები უკრაინას აიარაღებენ. ეს ძმათამკვლელი ომია, რაც აშშ-ს არავითარ ზიანს არ აყენებს. აშშ ომის შეწყვეტაზე არც კი ფიქრობს. ეს გახლავთ რუსების წინააღმდეგ წარმოებული ანგლოსაქსური წარმატებული პოლიტიკა. სამწუხაროა, რომ ჩვენს რეგიონში მიმდინარეობს.

— როგორ გადალაგდება მოვლენები საჭადრაკო დაფაზე? ჩვენთან რამდენად არსებობს ომის საფრთხე?

— მცდელობები არის, რომ რაღაცნაირად რუსეთის გარშემო ცეცხლის რკალი შეიქმნას და ჩვენც შიგ ჩაგვითრიონ. ამ პროცესში ჩართვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან ეს საქართველოსთვის ეგზისტენციონალური საფრთხეა. საქმე სახელმწიფოს არსებობა-არარსებობას ეხება. ყველა, მათ შორის, ჩვენი ოპოზიცია, რომელიც მოგვიწოდებს, საქართველო ომში ჩაერთოს, ცალსახად ქვეყნის მტერია და ეროვნული ინტერესების გატარებასთან საერთო არაფერი აქვს. ის ან სულელია (რაც ნაკლებად სავარაუდოა), ან შეგნებული პროვოკატორი. ოპოზიცია უცხო ძალების ინტერესების გამტარებელია, მას ანგარება ამოძრავებს. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ საიდან ფინანსდება და კონკრეტულად ვის ინტერესებს ახორციელებს, მთავარია, რომ ეს ყველაფერი ქართული სახელმწიფოს საზიანოდ არის მიმართული.

— ოპოზიცია ღლიცინებს: აბა, ომი გინდათო? მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, საომარი მოქმედებების შემთხვევაში, ბულაჩაურის წყალსაცავი რომ ააფეთქონ, ან ენგურჰესზე იერიში მიიტანონ, რა შედეგებს მივიღებთ?

— შედეგი კატასტროფული იქნება, ამის წარმოდგენაც კი არ მინდა. ბულაჩაურის წყალსაცავის აფეთქების შედეგად ექვსმეტრიანი ტალღები თბილისს წალეკავს. ენგურჰესის შემთხვევაში თქმაც არ მინდა, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება დასავლეთ საქართველო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლო 30 წლის განმავლობაში, ჩვენ ძალიან მწარე გამოცდილება მივიღეთ. და აი, ძლივს დადგა დრო, როცა ხელისუფლება ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. მთავრობის მიმართ შეიძლება გარკვეული პრეტენზიები არსებობდეს, მაგრამ რაც დღევანდელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას ეხება, აბსოლუტურად აკმაყოფილებს ქვეყნის ინტერესებს. ამიტომ, ამ იდეის გარშემო კონსოლიდირება უნდა მოხდეს და ყველამ შეიგნოს, რომ დღეს ნებისმიერი სახის არეულობა ჩვენი სამშობლოსთვის ძალიან სახიფათოა.

დავუბრუნდეთ რუსეთ-უკრაინის ომს. მის განვითარებას წინაპირობები ჰქონდა: რუსეთის ულტიმატუმი, რის შესრულებაზეც დასავლეთი არ წავიდა. დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთერთობები სწორედ ამან დაძაბა. რუსეთი ღიად აფიქსირებს, რომ ის მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ძალა უნდა იყოს. ეს ტენდენცია 2007 წელს მიუნხენის კონფერენციიდან დაიწყო. პუტინის მიერ წარმოთქმული სიტყვა ყველას გვახსოვს. რუსების ქმედებები შეიძლება მოგწონდეს ან არ მოგწონდეს, მაგრამ, როცა უკრაინას ნატოში ეპატიჟებიან, ეს რუსეთის ეროვნულ ინტერესებს საფრთხეს უქმნის. გარდა ამისა, ამერიკელებიც აფიქსირებდენ, რომ ნატოს გაფართოება მსოფლიოში დაძაბულობის ზრდას გამოიწვევდა. ამის ცოდნას ვანგად ყოფნა არ სჭირდება. რუსეთის მხრიდან მივიღეთ ობიექტური რეალობა იმ ქმედების საპასუხოდ, რაც ნატოს გაფართოების თემას მოჰყვა. მართალია, ეს ნაჯახის პოლიტიკის მეთოდით, ბრუტალურად მოხდა, მაგრამ პუტინმა საკუთარი ხალხის ეროვნული ინტერესები დაიცვა.

— ღარიბაშვილი შოლცს შეხვდა. როგორ შეაფასებთ ამ ვიზიტს?

— ოპოზიციურ არხებზე მიდიოდა პროპაგანდა, რომ შოლცი ღარიბაშვილს იბარებდა და გარკვეულ გამონათქვამებზე თურმე პასუხი უნდა მოეთხოვა. დაიბარეს თუ მიიწვიეს, მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ჩვენმა პრემიერმა ქვეყნის სასიკეთო პოზიცია დააფიქსირა, რაც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეა. დღეს ვხედავთ, რომ საქრათველოს ხელისუფლების მხრიდან ძალიან გაბედული განცხადებები კეთდება. პრემიერის გამოსვლას თვალს ვადევნებდი ბუდაპეშტში, დოჰაში, ბრატისლავაში, კიშინიოვში, 26 მაისის აღლუმზე და მინდა გითხრათ, რომ იგი ძალიან ლოგიკურად ასაბუთებს ერთადერთ სწორ პოზიციას. ყველაზე ძალიან ის მიხარია, რომ დღეს ოფიციალური ხელისუფლება თამამად საუბრობს იმაზე, რაც თითოეულმა ჩვენგანმა მთელი ამ ხნის განმავლობაში ძალიან კარგად ვიცოდით, მაგრამ ამის მაღალ დონეზე, ხმამაღლა გაჟღერება არ შეიძლებოდა. დადგა დრო, როცა ამაზე ღარიბაშვილი ღიად საუბრობს. ამის საპირისპიროდ, ოპოზიცია აბსოლუტურად ანტიეროვნული სახელმწიფო ძალაა, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობით კი არა, მისი ჩამოშლითაა დაინტერესებული. ამიტომ ოპოზიციის ქილიკზე აზრის ნიველირება უნდა მოხდეს.

ზოგადად, ჩვენი ოპოზიცია, უკრაინის ხელისუფლება და რიგი ევროდეპუტატები ერთ აზრზე არიან. უკრაინის ხელისუფლების მოქმედებები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიით განსაზღვრულ მოქმედების არცერთ კოდიფიცირებულ სტანდარტში არ ჯდება. რა არის ხელისუფლების პირველი დანიშნულება? — საფრთხე, რომელიც ქვეყანას ემუქრება, თავიდან აიცილოს. ზელენსკის პოლიტიკა დღეს ისე პიარდება, თითქოს იგი გმირია, არადა, მან უკრაინას ისეთი პრობლემები შეუქმნა, არავინ იცის, ომის შემდეგ რა იქნება. ფაქტია, რომ ძველებურად აღარაფერი იქნება. დაკარგული ტერიტორიები, უამრავი დევნილი, ათასობით დაღუპული ადამიანი — ეს არის წარმატებული პოლიტიკა?! ასეთი პრეზიდენტია საყოველთაო მოწონების ობიექტი და მისი ქმედებები?! ხალხო, უკრაინა აღარ არის, მიწასთანაა გასწორებული და რომელ გმირობაზე ვლაპარაკობთ?! სულ სხვაა პრემიერი ღარიბაშვილი, რომელმაც შოლცთანაც და სხვებთანაც დააფიქსირა აზრი, რაც სამშობლოს ინტერესებთან არის თანხვედრაში. ამიტომაც ებრძვიან ასე გავეშებით.

თუ კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე უარს იმიტომ გვეტყვიან, რომ სანქციებს არ შევუერთდით, ან თითიდან გამოწოვილი სხვა მიზეზით, ეს დასავლეთის მიზანმიმართული პოლიტიკა იქნება, რათა ჩვენ მათ ზურგი ვაქციოთ და რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირი დავამყაროთ. რამდენად არის ყოველივე მათ ინტერესებში, განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია. როცა ასე უსამართლოდ გექცევიან, ეს მტკივნეულია. ძალიან არ მომწონს ის ფაქტი, რომ ნელნელა დასავლეთის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად, საზოგადოება მის მიმართ ცივდება და იმ სიმპათიებისა და ეიფორიის ფრუსტრაცია ხდება, რაც ამ 30 წლის განმავლობაში ქართული სახელმწიფოს მოსახლეობას დასავლეთის მიმართ გაუჩნდა.

საქართველოს შეუძლია, მიუხედავად გარშემო შექმნილი რთული ვითარებისა, თავის სასარგებლოდ იმოქმედოს. ჩვენ, ერთი მხრივ, რუსეთთან და მეორე მხრივ, ევროკავშირთან კარგი სავაჭრო თემა გაგვიჩნდა. თუ საქართველო ჭკვიანურად მოიქცევა, წინ დიდი შესაძლებლობების ფანჯარა გაგვეხსნება. ეს საინტერესო პროცესია, მთავარია, ჭკუით ვიმოქმედოთ და შეიძლება რუსეთ-უკრაინის ომისგან შექმნილი კრიზისი ჩვენთვის არა უარყოფითი შედეგის, არამედ პირიქით — სარგებლის მომტანი აღმოჩნდეს. მისასალმებელია, რომ ჩვენ მათხოვრების პოზიციაში აღარ ვართ. ამდენი ხანია, ვიხვეწებით: ევროკავშირში მიგვიღეთო, ბარიერად კი ხან რას გვიყენებენ და ხან რას. ეს დრო მთავრდება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ნაცებს, შმაცებს და შმაცნაცუნებს ტარაკუა დაესხათ

გაგრძელება. დასაწყისი „სგ“ N19

იმდენად დაესხათ ტარაკუა მსოფლიო ნაკრებ ნაცებს, შმაცებსა და შმაცნაცუნებს, რომ საკუთარი მიზნების აღსასრულებლად („ნაცმოს“ ხელისუფლებაში დაბრუნება და ომის წამოწყება რუსეთთან) მოლოტოვის კოქტეილებით ადამიანების ცოცხლად დაწვასაც კი მოუძებნეს გამართლება. ფორმულება ასეთია: „რუსული ოცნების“ პოლიციელის ცოცხლად დაწვა ჩვეულებრივი ამბავია, თუ მას „პროდასავლელი ლიბერალი“ წვავს, შესაბამისად, მასზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დანაშულია. რატომ? იმიტომ, რომ ის დასავლურ ღირებულებებს იცავდა!

სერიოზულად მაინტერესებს: მთელი ე.წ. დასავლეთი რუსეთის აგენტურაა? თუ ასე არ არის, რატომ შეგვაძულეს აშშ ნაბიჯ-ნაბიჯ და რატომ გვაძულებენ ევროპასაც? არადა, მახსოვს საკუთარი დამოკიდებულება — აშშ თავისუფლების კუნძულად მიმაჩნდა, ევროპა კი ყოველმხრივი ბედნიერების ოაზისად...

გოშია ძაღლებივით შესცქერიან მარჩენალი აშშ-ის ხელებს, რომელიც თითების ტკაცუნით მიუთითებს, როგორ უნდა მოიქცნენ და ეს უსამშობლოებიც ყველაფერს კადრულობენ, წარმოდგენაც არ აქვთ, რა არის, არც ღირსება, არც — სამშობლო.

ღირსეული კაცი,ცხონებული ნოდარ მგალობლიშვილი იყო, რომელმაც „ნაცმოძრაობის“ ზეობის ხანაში (2009 წ.) პრეზიდენტ სააკაშვილს ხელი აუკრა „ღირსების ორდენზე“. ცხონებულმა ნოდარმა მტარვალი ფაშისტისგან ჯილდო არ მიიღო. ხალხის მიერ გადაცემული „ღირსების ორდენი“ კი სამუდამოდ მის სახელს დაუკავშირდა, — ამას როგორ გაიგებს უღირსი?

აშშ-მ ელჩის პირით გვითხრა (თუ პირიქით), ვრცელდება ცრუ გზავნილები, თითქოს ვინმე „მეორე ფრონტის“ გახსნას ითხოვსო და ლამის შეურაცხადად შერაცხეს „ხალხის ძალა“.

სოციალურ ქსელში ფოტო გავრცელდა, ორი სათვალიანი ძროხა საუბრობს ერთმანეთში:

— იცი, რა, ვფიქრობ, რომ ადამიანები იმიტომ გვაჭმევენ, რომ ისარგებლონ ჩვენი რძით, ბოლოს კი მოგვკლავენ და ჩვენს ხორცს შეჭამენ.

— კარგი რა, დაანებე თავი ამ შენს „შეთქმულების თეორიებს“, ვერ ხედავ, რომ მთელი ცხვრის ფარისა და ძროხათა შეგნებული საზოგადოებისთვის სულ უფრო და უფრო სასაცილო ხდები?

ასეთი ამბავი ტრიალებდა მცირე ხნის წინათ ჩვენს საზოგადოებაშიც...

ნაცების, შმაცებისა და შმაცუნების სამარადისო ცხვარი როგორ უნდა გახდე ქართველი?!

აშშ საქართველოს ის სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი ქვეყანაა, რომელიც, გამჭვირვალე ინფორმაციის თანახმად, მათ ქვეყანაში შესვლაზე საქართველოს მოქალაქეების მხოლოდ 37 %-ს უნთებს მწვანე შუქს მაშინ, როცა მეზობელი ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი 63-88%-მდეა.

მეზობლებზე საქართველოს ორგანული ნაწილი, დღევანდელი მოცემულობით მეზობლებად ქცეული აფხაზეთი და სამაჩაბლო გამახსენდა. როდესაც ცნობილი გახდა, რომ ვლადიმირ პუტინის მიერ 10 მაისს ხელმოწერილი ბრძანების შედეგად აღდგებოდა ორმხრივი ფრენები რუსეთ-საქართველოს შორის, აშშ-ის ელჩმა გესლიანად გვითხრა, აფხაზეთი და სამაჩაბლო რომ დაებრუნებინა, ის გაგვახარებოდათ, ფრენების აღდგენა რა სასიხარულოაო. ამას კვლდაკვალ მოჰყვა ყიჟინა, ავიაკომპანია „აზიმუტს“ სოხუმი და ცხინვალი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჰყავს დარეგისტრირებულიო და მეორე დღესვე მათი საიტიდან გაქრა ორივე მათგანი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნები და საქართველოში შემავალ სუბიექტებად მოექცნენ **(იქცნენ?)**.

ამას ისიც დაერთო, რომ ხმა გავრცელდა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, აფხაზები კონცერტის ჩასატარებლად „უცნობს“ აფხაზეთში იწვევენ უსაფრთოების დაცვის გარანტიითო; რუსეთმა აფხაზეთს 7,5 და სამაჩაბლოს 5,5 მლრდ რუბლით დაფინანსება შეუჩერაო და ტარაბუას დახვევასთან ერთად, გულიც შეუქანდათ საქართველოს „დაუძინებელ მეგობრებსა და კამპანიას“, მერე რაღა უნდა უძახონ რუსეთს „ოკუპანტის“ ნაცვლად, თუ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე თათი აიღო და საქართველოს დაუბრუნა?

წლების წინათ ამერიკულ ავტორიტეტულ ჟურნალში (**Foreign Affairs**) გამოქვეყნდა სტატია, რომელიც შესავლითა და ქვეთავებად არის დაწერილი („ტურბულენტობიდან სიმშვიდემდე“ და „გაწევრიანება“).

ქვეთავში „გაწევრიანება“ ეწერა: **„...საკუთარი დამოუკიდებლობის უდიდესი პერიოდის განმავლობაში, საქართველო რუსულ წნეხს, ძირითადად, მარტო უმკლავდებოდა.**

სეპარატისტული რესპუბლიკების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე ალიანსში გაწევრიანება შემდეგი ლოგიკური ნაბიჯია“.

„რესპუბლიკელებს“ უკვე დაქუხებული ჰქონდათ. დავით ბერძენიშვილი: „მე ვფიქრობ, აფხაზებს აქვთ უფლება, შექმნან ცალკე სახელმწიფო...“

თინა ხიდაშელი: „მე... აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ!“

პაატა ზაქარეიშვილი: „აფხაზეთის აღიარებით საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრიობა დაიწყება“.

ეს იყო პირველი დატესტვა!

ამჟამად კი, რუსეთის მოულოდნელი ნაბიჯებისგან ისეთი ტარაკუა დაესხათ კრებსით „ნაცებს“ გაღმაგამოღმიდან, ვეღარაფერს ამბობდნენ, სრული დუმილი გამეფდა და უცბად სადღაციდან გამოტყვა ვინმე ფადი ასლი, წლების განმავლობაში საქართველოში შემოყუჟული უცხო ქვეყნის მოქალაქე (თუ არ ვცდები, ლიბანის), ხვადაგი საქმოსანი და მოგვიგვირისტა:: „თეორიულად დავუშვათ, რომ რუსეთი ივანიშვილს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას დაჰპირდა, კითხვა, რომელიც თითოეულმა ქართველმა პატიოსნად უნდა დაუსვას საკუთარ თავს: მინდა გავერთიანდე ორ სეპარატისტულ რეგიონთან და ვიცხოვრო მათთან როგორც რუსეთის მონამ, თუ მინდა ვიცხოვრო დამოუკიდებლად და თავისუფლად, როგორც ევროკავშირის წევრმა ამ ორი რეგიონის გარეშე?“ ეს მეორედ წამოწყებული „გატესტვაა“...

ეს ის ფადი ასლია, კახა კალაძეს რომ მიუთითა, მოსკოვის გამზირს ზელენსკის სახელი ეწოდოსო; ეს ის ფადი ასლია, პრემიერ ღარიბაშვილს წერილი რომ მისწერა და ასე დაუბოლოვა: „თუ მე ამ წერილით შეურაცხყოფა მოგაყენეთ, შეურაცხყოფა მივაყენე ბიძინა ივანიშვილს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, თქვენი პარტიის წევრებსა და თქვენს მხარდამჭერებს, არ მოგერიდოთ ჩემზე შურისძიება ისე, როგორც თქვენ ჩათვლით სწორად, გნებავთ, ჩემი შევიწროებით, ყალბი ბრალდებების საფუძველზე ჩემი დაკავებით, ქუჩაში ჩემი ცემით, ან ჩემი მოკვლით...“ — რა გულზეა ეს ბანანის გამყიდველი... თუმცა, საკუთარი სამშობლოს უარმყოფელი სხვისი სამშობლოს ბედს რას დაეძებს...

უსამშობლო ტარაკუადასხმულებმა დღეს მათსავით უსამშობლოს, ბედუინების შთამომავალს ათქმევინეს ის, რასაც მანამდე კგბ-ს მიერ ლოიალურად დაშვებული ბერძენიშვილების პარტია „რესპუბლიკელები“ ახმოვანებდნენ და პირველად სწორედ მათ „გატესტეს“ საქართველო.

ამ ფონზე, გამომდგარა ამჯერად აშშ-ისგან ტარაკუადასხმული საქართველოს სამარცხვინო (პ)რეზიდენტი იმის ნაცვლად, რომ ფადი ასლისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევაზე აკეთებდეს განცხადებას და საქართველოდან მის გაძევებას აწერდეს ხელს, ეროვნულ ავიაკომპანიას გამოუცხადა ბოიკოტი — ასეთ სამარცხვინო მგდომარეობაში, მგონი, მის ორ წინამორბედს არ ჩაუგდია თავი, პოლიტიკურ კარიკატურად აქცია საკუთარი პერსონა — ეროვნულმა ავიაკომპანიამ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა და დაუთქვა, სანამ ქართველი ხალხის წინაშე ბოდიშს არ მოიხდის, ჩვენს ბორტზე არ დავუშვებთო. ხალხის საქილიკო გახდა ქალი პრეზიდენტი, მას და აშშ-ის ელჩს ცოცხზე გადამჯდარებსაც კარგად შეუძლიათ ფრენაო...

1923 წლის 21 მაისს „ჟუნკერს- 13“-ით შესრულდა პირველი გაფრენა თბილისი-მანგლისი, 2023 წლის 21 მაისს კი 100 წელი შეუსრულდა ქართულ კომერციულ ავიაციას. რა „სვემჭედელი“ უნდა იყო ქალი, რომ მაინც და მაინც ამ საიუბილეო თარიღზე აგიკრძალონ ქართული ავიაციის კომპანიების ბორტზე ასვლა!..

(პ)რეზიდენტი სალომე ზურაბიშვილისთვის ბატონ თამაზ გაიაშვილის ღია წერილიც — „პასუხი საქართველოს (პ)რეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს“ საკმარისი უნდა იყოს, სადაც ისეთი პასაჟებია, ელემენტარული ღირსება რომ ჰქონდეს, შეუძლოდ უნდა გამხდარიყო...

ძალიან კარგად გვახსოვს 2008 წლის 5-დღიანი ომის შემდეგ (მანამდე, თავისთავად, სტრატეგიული ობიექტები ჩააზუტეს რუსეთს) რა დამოკიდებულება ჰქონდა იმდროინდელ ფაშისტურ ხელისუფლებას რუსების მიმართ, ისინი მხოლოდ სიტყვით იყვნენ ოკუპანტები, ახლა, უკრაინასთან ომის შემდეგ გახდნენ საქართველოს ოკუპანტები?

ვამბობ, ტარაკუა აქვთ დასხმული-მეთქი!

ეჭვი მაქვს, პატიმარი სიმულიანტის გარდა, ყველას ტარაკუა აქვს დასხმული, ისღა ახსენებს საქართველოს, დანარჩენი, ყველა, „ევროპულ ღირებულებებზე მოიმართნენ“ გაფუჭებული მაღვიძარასავით. „პირველ რიგში საქართველოს ერთგულები უნდა დარჩეთო“, — ასე დაასრულა მონოლოგი მიხეილ სააკაშვილმა. მისი ერთი ფრაზა არ დაიჯერება, მაგრამ რადგან აზრი „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ განავითარა, აბსოლუტურად საღ ჭკუაზეა და, შესაძლოა, „განიკურნოს“ კიდეც ტარაკუასგან, რაც არანაირად არ გაახარებს მის გულშემატკივრებს არც „იქ“ და არც — აქ. დიახ, არ გაახარებთ, რადგან **განკურნებული „სნეული“ ისეთი სისწრაფოთ ჩამოარაკრაკებს ყველაფერს 2003 წლიდან დღემდე, დედამიწის კი არა, დედების ხელახალი გადანაწილება დაიწყება...**

კრებსით „ნაცმოს“ რომ ტარა-

კუა დაესხა, ლოგიკურია, ასეც უნდა მომხდარიყო.

დრო გადის. ადამიანები იზრდებიან, რაღაცას სწავლობენ, რაღაცას უკეთ ხედავენ, ისმენენ და აანალიზებენ. შესაბამისად, პირადი გამორჩენის მიზნით საკუთარი ქვეყნის მღრღნელებისგან დაკბენილ-დასნეულებული საქართველოც ნელ-ნელა ძალას იკრებს, თვალს ახელს, მტერ-მოყვარის გარჩევას სახელმწიფოებრივად აზროვნებით იწყებს, წყლულებს იშუშებს და ბოლოს ფეხზეც დადგება. სწორედ ეს ახვევთ ტარაკუას საქართველოს მავნებლებს!

ტარაკუადახვეულებმა, ევრორეკომენდაციების მხარდაჭერის გამო ისეთი დღე აყარეს საკუთარ თანაგუნდელებს, რომ, ნებსით თუ უნებლიედ, მათი მმართველობის ფაშისტური სისასტიკე გაგვახსენეს...

ტარაკუასახმულებს რომ პარტია კონა-კონა ეშლებათ და ახლით ვეღარ ავსებენ, ვხედავთ, მაგრამ **„სულს ამოგხდით ნაძირლებო-თარგამაძე“** დედაქალაქის გადაწვის იდეით რომ გამოძვრა საიდანღაც, მიხვდა აფრასიიეების სისხლში ამოვლებული კუბდარისმოყვარე გია ბარამიძე, რას ბოდავს ხმამაღლა ეს ტარაკუადასხმულიო და მზის ამოსვლამდე სამჯერ უარყო თარგამაძე, ეგაო, „ნაცმოს“ წევრი არ არის და ვერავის სახელით ვერ ილაპარაკებსო.

დაწვა, დანგრევა, მოკვლა! — „ნაცმოს“ უცვლელი დევიზი!

რა დაემართათ და რატომ, მოკლედ ვთქვით და რაც მიიღეს, ისიც ვთქვათ: ბუმერანგის პრინციპია, საკუთარი ხალხის სიძულვილმა ხალხში მათი სიძულვილი შვა — რაც დათესეს, ის მოიმკეს!..

რითი ვუწამლოთ ტარაკუადასხმულებს?

უიმედო მდგომარეობაა!

ძალზე ძნელია, უწამლო იმას, რაც ადამიანის თავშია, მის გონებაში, კონკრეტულად, მათ შემთხვევაში — ფაშისტურ იდეებს და რაც მათ სხეულშია — მოთხოვნილებას, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს იდეურ მოწინააღმდეგეს. ფაქტობრივად, ასეთი წამალი არ არსებობს, რადგან „არ გათეთრდების ყორანი, რაგინდა ხეხო ქვიშითა, კუზიანს კი მხოლოდ სამარე გაასწორებს“...

ყოველ ფეხის ნაბიჯზე მტკიცდება, რომ მათი პარტიული გენეტიკაა ფაშისტური მიდგომები, ბულინგი, გაჩუმება, ზეწოლა და ეს რომ არ გამოსდით, უკიდურესად ღიზიანდებიან.

„დღეს „ნაცმოძრაობის“ ტელევიზიის ჟურნალისტის შეკითხვა ასე დაიწყო: „რატომ აძლევთ თავს უფლებას, თქვათ...“ თქმის უფლებასო!.. არ ვაჭარბებ!.. არჩეული დეპუტატის წინაშე დასმულ შეკითხვაში გამოიყენა ეს ფორმულირება... ცივილიზაციამ და შესაბამისმა კონსტიტუციებმა მიანიჭეს ეს უფლება დეპუტატებს, ჟურნალისტებს, სხვა პროფესიის ადამიანებს და, ზოგადად, ადამიანებს. ჟურნალისტების 90%-ზე მეტს არც მოაფიქრდება ამ კითხვის ფორმულირებით მისი შეზღუდვა.

ანტიეროვნულობა და ფსევდოევროპელობა არა მხოლოდ ტრადიციების, საკუთარი იდენტობის, კულტურისა და ისტორიის წინააღმდეგ ბრძოლაა, არამედ მსგავსი ფაშისტური ლიბერალიზმის დამკვიდრების მცდელობაც.

ალბათ, ყველა ხვდება, რომ ეს ხალხი არაფერთან არ მიიშვება... **(არ უნდა მიუშვა)**

ამიტომ არის სწორი და სახელმწიფოებრივი ეროვნული ვალდებულება, რომ არც ერთ „ნაცს“ არ გააჩნდეს **(არ ჩავუგდოთ ხელში)** არანაირი ბერკეტი, რომელიც რომელიმე სერიოზულ საკითხზე მოახდენს გავლენას.

რა უნდა დაუპირისპირდეს ამას?

მხოლოდ მყარი, პრინციპული, ეროვნული, ტრადიციული და, ამავდროულად, პროგრესული, სიმართლეზე დაფუძნებული და რეალურად პროევროპული მიდგომები, რომელთა პოზიტიურმა ისტორიულმა სინთეზმა უნდა უზრუნველყოს ამ ქვეყნის გაერთიანება, მისი ევროპული მომავალი და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება,“ — თქვა მამუკა მდინარაძემ.

რადგან ტარაკუადასხმულებზე კვლავ ვრცელდება მახინჯი კოჰაბიტაციის ქოლგა, რომელიც ჩვენს ქვეყანას აიძულებს, ასევე მახინჯი პრაქტიკა, „ორმაგი სტანდარტი“ არსებობდეს სამოქალაქო თუ სისხლის სამართალში, ისღა დაგვრჩენია, ვიდრე ამ საერთაშორისო ზეწოლის ქვეშ ვიმყოფებით, თავდაცვის ხაზი მაინც გავამაგროთ...

„ჩემი პრინციპია მარტივი — არცერთი ნაცი არცერთ ორგანოში და ამ პრინციპით ვიმოქმედებთ მომავალშიც!“ — განაცხადა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი კობახიძემ.

ეს თქვენი პრინციპია, ბატონო ირაკლი, ხალხი კი ამ პრინციპს ითხოვს: „არა მხოლოდ „ნაცი“! ყველა რადიკალი და პოლიტიდივერსანტი, რომელიც საკუთარი ავადმყოფური ამბიციებისთვის ქვეყნის ინტერესებს აზიანებს, უნდა განეიტრალდეს!“

10 წლის განმავლობაში ყველას ჰქონდა შანსი, რომ პოლიტიკური ცხოვრება ნორმალური, რაციონალური, სახელმწიფო ინტერესებისთვის სუფთა ფურცლიდან დაეწყო, თუმცა პირიქით იქცეოდნენ, სახელმწიფო ინსტიტუტების საბოტაჟისა და ეროვნული ინტერესების ღალატის მეტი არაფერი უკეთებიათ!

ასე რომ, დროა, პოლიტიკა პარაზიტებისგან სრულად გაიწმინდოს!

საზოგადოება ელოდება ამ ძირგამომპალი კოჰაბიტაციის დასასრულს!“ — რომელიც ბატონმა ზურაბ ქადაგიძემ ასევე მარტივად ჩამოაყალიბა.

ნუ გადავაყოლებთ ნაცებს, შმაცებსა და ნაცმაცუნებს ჩვენს სამშობლოს!

ნინო დაუშვილი

ვახტანგ ხარჩილავა:

ფადი ასლი - არაბი ჯაყო ლიბანიდან

„ამ კაცის ისტორია ვინც არ იცით, ძალიან საინტერესოა... ფაქტობრივად, ფადი არაბი ჯაყოა!.. წლების წინათ ის ერთმა არაბმა ბიზნესმენმა გამოაგზავნა თბილისში ბანანების გასაყიდად (გამყიდველად). ჩამოვიდა ფადი თბილისში და დაიწყო ბანანების გაყიდვა, როგორც მის პატრონს უნდოდა, მაგრამ პირად საუბარში არსად ამბობდა, რომ ბანანები მისი არ იყო და ის, უბრალოდ, დაქირავებული გამყიდველი იყო. საღამოობით, ბანანის გაყიდვებით დაღლილი, ძვირადღირებული კაფეების ხშირი სტუმარი იყო და ქართველი ლამაზმანების გარემოცვაში ჰყვებოდა, თუ რა დიდი ბიზნესმენი იყო და ხან შეიხის შვილად ასაღებდა თავს, ხან – ძმისშვილად. რა თქმა უნდა, ბანანების გაყიდვიდან შემოსული თანხის ნაწილსაც მეპატრონეს ჰპარავდა. 3 წლის შემდეგ მეპატრონე მიხვდა, რომ შემოსავალი, რომელიც უნდა მიეღო, საქართველოდან, ნაკლები მისდიოდა და გადაწყვიტა, ჩამოსულიყო თბილისში და ადგილზე გაცნობოდა სიტუაციას. თბილისში ჩამოსული მეპატრონე სახტად დარჩა: ფადი ასლი (უბრალო გამყიდველი) ქართველებმა საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტად აირჩიეს; ძვირადღირებული მანქანების ესკორტით და დაცვის თანხლებით გადაადგილდებოდა თბილისში თბილისის ლამაზმანებით გარშემორტყმული. ძვირადღირებული სახლი ჰქონდა ნაქირავები და ხელში „ვერტუ“-ს ტელეფონებით დავალებებს აძლევდა ქართველ ბიზნესმენებსა და ჩინოვნიკებს.

ეს ისტორია ძალიან კარგად ვიცი იმიტომ, რომ „თბილისი მარიოტში“ 7 წლის წინათ შემთხვევით გავიცანი ფადი ასლის (ბანანების გამყიდველის) მეპატრონე და აღტაცებული მიყვებოდა: ეს კაცი თბილისში გამოვგზავნე, რომ ბანანი გაეყიდა და ქართველებმა ის ლამის პრემიერ-მინისტრად გახადესო, თან იცინოდა, მაგისნაირი თანამშრომელი და მაგაზე უკეთესები მთელ მსოფლიოში 2 500 მყავს და კიდევ ხომ არ გამოვაგზავნო ეკონომიკის ან ფინანსთა მინისტრად საქართველოშიო.

სხვათა შორის, იმ პერიოდში თბილისში სასამართლო პროცესი გაიმართა მეპატრონესა და გამყიდველს შორის (ამაზე ჩვენი გაზეთები წერდნენ). მეპატრონემ მოიგო პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ყველა ფადი ასლის ეხმარებოდა მაშინ და მეპატრონემ ჩამოართვა ბიზნესი ამ არაბ ოსტაპ ბენდერს.

ეს ისტორია დღეს გამახსენდა ამ არაბი ჯაყოს განცხადებებზე. გასაგებია, ქართველები სტუმართმოყვარე ერი ვართ, მაგრამ „ღორის ტილს ფეხზე რომ დაისვამ, თავზე აგაცოცდებაო“, ასეა ჩვენი საქმე.

ასე რომ, ამ კაცის (გამყიდველის) განცხადებას რომ ვკითხულობ, მეცინება. მე რომ გავგზავნო ბეირუთში გამყიდველი მივლინებაში და იქაურ პრემიერ-მინისტრს ჭკუის სწავლება დაუწყოს, რა დღეში აღმოჩნდება, წარმოდგენაც კი მიჭირს... „დაგუგლეთ“ ფადი ასლი და ბევრ თაღლითობას წააწყდებით ამ კაცის მოღვაწეობიდან!.“, წერს ერთი ქართველი ბიზნესმენი.

●

რაკიღა სიტყვამ მოიტანა, ბარემ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფადი ასლი ე.წ. სასიყვარულო სკანდალში არაერთხელ გახვეულა. ამ მხრივ ყველაზე გახმაურებული მისი და ქართველი მსახიობის ურთიერთობა გახლდათ (როგორც ამბობენ, სწორედ ეს მსახიობი დაეხმარა მას სააკაშვილთან ურთიერთობის დალაგებაში). ამ დროს ფადი ასლის თავის სამშობლოში ცოლი ჰყავდა, მაგრამ ამის შესახებ არ ლაპარაკობდა. რამდენიმეწლიანი თანაცხოვრების შემდეგ ეს წყვილი დაშორდა, რისი მიზეზიც თურმე, ის გახდა, რომ ბიზნესმენი სხვა ქართველ ქალს გაუმიჯნურდა და მალე ცოლადაც შეირთო. ამავე პერიოდში ქართულ ბეჭდურ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფადი ასლიმ და მისმა ახალმა მეუღლემ სხვისი ბიზნესი მიიტაცეს.

მას შემდეგ, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ფადიმ თავის ძველ მეთოდებს მიმართა და „ოცნების“ დაშანტაჟება სცადა, რასაც ის დღემდე აგრძელებს.

მომზადებულია ინტერნეტ-მასალების მიხედვით

მინაწერი: როგორც ითქვა, ჯერ კიდევ ამოუხსნელ ამოცანად რჩება, აი, ასეთი და ასეთნაირი ფადი ასლი როგორ გახდა საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი, რომელიც თავის თავს უფლებას აძლევს, უხეშად ჩაერიოს საქართველოში მიმდინარე პროცესებში და პირუთვნელი და მიუკერძოებელი არბიტრის ნიღაბი მოირგოს.

ცხადია, „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის ხელდასხმით გადიდკაცებული ეს არაბი ჯაყო თავისი ძველი პატრონების ინტერესებს ემსახურება დღეს და შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, ლაფი და ტალახი არ ესროლოს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას და ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც გადამთიელი ფადი ხან ბანდიტს ეძახის, ხან – განგსტერს.

ამ დროს ქართველი ბიზნესმენები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ღირსების გრძნობაც აქვთ, თავმოყვარეობაც, დიდი პატრიოტებიც არიან თურმე და ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე დგანან, მშვიდად და აუმღვრევლად უყურებენ ამ უმსგავსობას და ხმას არ იღებენ.

რა შეიძლება ვუთხრა იმ ბიზნესს და იმ საქართველოს, რომელიც არამზადა ფადის და მის მსგავს სხვა არამზადებს უფლებას აძლევს, აუგად მოიხსენიოს კაცი, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული საქართველოსთვის.

ფადი ასლი თავისი განცხადებებით და თავისი საქმიანობით შეურაცხყოფას აყენებს არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს, არამედ შეურაცხყოფას აყენებს მთელ საქართველოს და ყველა ქართველს, თუმცა ქართველთა დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, ამას ვერ ხვდება, ისე, როგორც ვერ ხვდება, თუ რა მასშტაბების დემაგოგი და ავანტიურისტია მამუკა ხაზარაძე, რომელიც უკადრისს კადრულობს და უადრესატო და ხელმოუწერელ ტექსტს გიორგი გახარიას მიერ გამოგზავნილ მუქარად ასაღებს.

თუ ამ ტექსტის შინაარსს ყურადღებით გაეცნობით, აუცილებლად გაგიჩნდებათ ეჭვი, რომ ამ წერილის ადრესატი შეიძლება საერთოდ არ არის მამუკა ხაზარაძე, რადგან წერილში ისეთ თემებზეა საუბარი, რომლებთანაც ბანკირ ხაზარაძეს, წესით და რიგით, არანაირი შეხება არ უნდა ჰქონდეს.

ასე, მაგალითად, ბანკირ ხაზარაძეს რატომ უნდა ავალებდეს ვიღაც, „TV პირველი“ „იმედის“ ტრენდზე დასვიო?!

თიბისი ბანკის დამფუძნებელი და მეწილეა ეს კაცი თუ „TV პირველი“-ს?!

გაქნილი და გაქექილი ფადი ასლი, რა თქმა უნდა, შესანიშნავად ერკვევა თიბისი ბანკთან დაკავშირებულ საკითხებში და შესანიშნავად იცის, რომ არ შეიძლება ეს ფარატინა ქაღალდი მუქარად ჩაითვალოს, ისე, როგორც არ შეიძლება კანონიერ ქმედებად ჩაითვალოს ხაზარაძის მიერ საკუთარი ბანკიდან 17 მილიონის აორთქლების თუ მოპარვის ყაჩაღური „სპეცოპერაცია“, მაგრამ უსირცხვილო და უტიფარი ფადი რისი ფადი იქნებოდა, ეს შემთხვევა თავისი ძველი თუ ახალი პატრონების საამებლად და მათ წისქვილზე წყლის დასასხმელად არ გამოეყენებინა და მთელი დუნია არ შეეძრა – უშველეთ საქართველოს, იხსენით ქართველი ბიზმესმენები ივანიშვილისგანო.

თუ ვინმესგან არის საშველი და დასახსნელი ქართული ბიზნესი, სწორედ გაურკვეველი ბიოგრაფიის და თხემით ტერფამდე დისკრედიტირებული ფადი ასლებისგან.

გასაკვირია, რატომ დუმან ქართველი ბიზნესმენები, რომლებმაც ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი გამოიარეს სააკაშვილის კრიმინალურ-ფაშისტური მმართველობის დროს და 2012 წლის შემდეგ მართლაც შვებით ამოისუნთქეს, რაც, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა.

დაბოლოს, ხომ უნდა დაისვას კითხვა – რატომ ითმენს ქართული ბიზნესი და საქართველო არაბი ჯაყოს, ფადი ასლის, შეურაცხმყოფელ, მავნებლურ, ძირგამომთხრელ საქმიანობას?

სანამდე შეიძლება ეს გაგრძელდეს?

14 მარტი 2019 წ.

ასეთი „მეგობარი“ ევროპარლამენტარები კლავენ დასავლეთისადმი ინტერესს და რუსულ საქმეს აკეთებენ

9 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცს ბერლინში, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შეხვდა. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შეხვედრაზე ღარიბაშვილმა შოლცს საქართველოს მიერ ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯები, განხორციელებული რეფორმები და ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების კუთხით არსებული მნიშვნელოვანი პროგრესი გააცნო, ისაუბრა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ საქართველო კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია.

პრემიერ-მინისტრის ბრიუსელში ვიზიტს აფასებენ ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე და გორის საკრებულოს დეპუტატი მიხეილ გოგინაშვილი

- ღარიბაშვილისა და შოლცის შეხვედრის შემდეგ მედიასთან ბრიფინგი არ გამართულა. თუმცა, მათ ვიზიტს ევროპულ პრესაში და რამდენიმე ევროპარლამენტარის არაერთგვაროვანი შეფასებები და „დატუქსვათა“ მთელი კასკადი მოჰყვა. როგორ შეაფასებდით ამ მორიგი შეხვედრის მნიშვნელობას და რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს მას სამომავლოდ?

ზაალ ანჯაფარიძე, ანალიტიკოსი:

- ვერ ვიტყოდი, რომ ღარიბაშვილის ვიზიტი გერმანიაში განსაკუთრებით წარმატებული იყო, თუმცა ვერც წარუმატებელს ვუწოდებ. ეს იყო შეხვედრა, სადაც მხარეებმა მოსაზრებები გულახდილად გაცვალეს. ვიზიტს კრიტიკული შეფასებები მოჰყვა გერმანულ მედიაში, სადაც საქართველოს განიხილავენ, როგორც სახელმწიფოს, რომელიც უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით, პროდასავლურ რელსებს ასცდა და საჭიროა, რომ ქვეყანა, რაღაცნაირად, ამ რელსებზე დააბრუნონ. მსგავს ინფორმაციას მათ, რასაკვირველია, საქართველოს ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ენჯეოები და რადიკალები აწვდიან.

განსაკუთრებით უარყოფითი გამოხმაურებები მოჰყვა რუსეთის მიერ აღდგენილ პირდაპირ ავიამიმოსვლას და უვიზო რეჟიმის შემოღებას საქართველოსთან, რაშიც, ასევე, ჩვენი ოპოზიციის დიდი „წვლილია“, რადგან ისინი დაინტერესებული არიან, „ქართული ოცნება“ დასავლეთში რაც შეიძლება ნეგატიურად წარმოადგინონ. თუმცა, არსებობს მეორე მიზეზიც - ევროპელები ახლა ძალიან დაძაბული არიან უკრაინაში მიმდინარე ომის გამო და რუსეთისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი პარტნიორი ქვეყნის მიერ ღალატად მიაჩნიათ. ევროპელების შეფასებით, საქართველო თითქოს მეორე უნგრეთია, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგება ევროკავშირის გადაწყვეტილებებს და რუსეთთან ურთიერთობებას არ წყვეტს. დაახლოებით ასეთ შედარებას აკეთებენ და მოითხოვენ, მათი სურვილისამებრ ვიმოქმედოთ, მაგრამ არც ის უნდათ, რომ საქართველო რუსეთს ჩაუგდონ ხელში.

საჯარო ინფორმაციის მიხედვით, გერმანიამ მიგვითითა, რომ მხარს გვიჭერს ევროპულ მისწრაფებებში, თუმცა, გვიწუნებს 12 რეკომენდაციის შესრულების ხარისხს. მათივე თქმით, აღნიშნული რეკომენდაციების ჯეროვნად შესრულება იქნება ერთგვარი ორიენტირი საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

პრემიერს შეეძლო, ევროპელებისთვის გასაგებ და მისაღებ ენაზე აეხსნა, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საქართველო: რომ მას არა აქვს არავითარი დაცვის გარანტია, არანაირი „ქოლგა“ ევროკავშირისა და ნატო-ს მხრიდან; რომ საქართველოს ტერიტორიაზე დგას რუსული ჯარი და ინტერვენციისა და აგრესიის განმეორების საფრთხე მუდამ არსებობს, მით უმეტეს ახლა, ასეთ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში. ამიტომ არის იძულებული საქართველოს ხელისუფლება, ისე მოიქცეს, როგორც იქცევა და ზოგჯერ არაპოპულარული ნაბიჯებიც გადადგას.

მიხეილ გოგინაშვილი, გორის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი:

- ახლა მთავარი აქცენტები უნდა გაკეთდეს ზუსტად ევროპული სახელმწიფოების პირველ პირებთან, რათა ყალბი ინფორმაციებითა და ინტერპრეტაციებით გაჯერებულ საინფორმაციო ველს რეალური სურათი დავუპირისპიროთ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროპას დავანახოთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საზოგადოების ნამდვილი სახე და არა ის, რასაც აჩვენებენ ჩვენი სახელმწიფოს შიდა თუ გარე მტრები, ჩვენი ოპოზიცია და მათი ლობისტები დასავლეთში.

მე ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილისა და მთავრობის სხვა წევრების აქტიურობა დადებითი შედეგის მომტანი უნდა იყოს საქართველოსთვის, რადგან პირადი კონტაქტებით მეტად რეალურ ინფორმაციას მიაწვდიან სტრატეგიულ მეგობრებს თუნდაც 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულების შესახებ და შეუქმნიან წარმოდგენას ქართველი ხალხის განწყობასა და მისწრაფებებზე, ვიდრე კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მოგვცემენ.

- როგორც ცნობილია, შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ახლა საქართველოსთვის წევრი ქვეყნების პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგი ეტაპისთვის. თუმცა, უფრო კრიტიკასა და შეურაცხმყოფელ განცხადებებს ვისმენთ, როგორც ამერიკის ელჩის, ასევე რიგი ევროპარლამენტარების მხრიდან...

ზაალ ანჯაფარიძე:

- არ ვიცი, პირად საუბრებში „ქართული ოცნების“ ლიდერები ვის რაზე ესაუბრებიან, მაგრამ თუ საჯარო გამოხმაურებებით ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ისეთი კომუნიკაცია, რომ ევროპარლამენტარები თავიანთი გადაწყვეტილებების მართებულობაში დაარწმუნონ. მაგალითისთვის ისიც კმარა, რაც რამდენიმე დღის წინათ ბრიუსელში ვიხილეთ, - ევროპარლამენტარებმა, ფაქტობრივად, შეურაცხყოფა მიაყენეს ჩვენს დელეგაციას.

რაც შეეხება კელი დეგნანს, იგი ასრულებს იმ დავალებებს, რასაც იღებს სახელმწიფო დეპარტამენტისგან, თავისი ხელმძღვანელებისგან. თუმცა, თუ დავაკვირდებით, საკუთარი ინიციატივითაც ხშირად მოქმედებს. ფაქტია, რომ მას არ მოსწონს საქართველოს ხელისუფლება. ელჩმა ჩვენს ხელისუფლებასთან ვერ დაამყარა ის ურთიერთობა, რაც უნდა ჰქონდეს. ამერიკის მხრიდან არაერთ საკითხზე გამოიკვეთა განსხვავებული აზრი, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, როგორიც სასამართლოა. აშშ-ს უნდოდა, რომ სასამართლოში მათი კადრები ყოფილიყო წარმოდგენილი. „ქართული ოცნება“ მათ არ დაეთანხმა და შეინარჩუნა ისინი, ვისაც ამერიკელები და მათ მიერ დაფინანსებული „ენჯეოები“ კლანს ეძახიან. ამერიკის საელჩო არის ერთ-ერთი წამყვანი ძალა იმ მოვლენებისა, რაც საქართველოში მიმდინარეობს, ისინი ცდილობენ, რომ როგორმე შეირყეს სიტუაცია, „დაირწოს ნავი“, რათა ამ ხელისუფლებას საყრდენი გამოეცალოს. ამერიკის საელჩოს ეგიდით ტარდება ტრენინგები, საგანამანათლებლო კურსები, მოსამართლეები ამერიკაში მიჰყავთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად და თითქოს ყველაფერი მხოლოდ კეთილ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ ეს ერთგვარი ნაცადი ხერხია იმისათვის, რომ საზოგადოება თავიანთ მოკავშირეებად აქციონ. ასე მოქმედებენ საელჩოები ისეთ ქვეყნებში, სადაც არ მოსწონთ ხელისუფლება და ცდილობენ, მას წყალი შეუყენონ. დაახლოებით იგივე სიტუაციაა საქართველოშიც.

მიხეილ გოგინაშვილი:

- ევროპარლამენტში დაუსრულებელი სკანდალებია მექრთამეობასთან და სხვადასხვა ქვეყნის ლობირებასთან დაკავშირებით და ისინი, ალბათ, თავიანთი სახელმწიფოს ინტერესებს იცავენ. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ საქართველოს რუსეთთან დაპირისპირებაში ჩაბმის ინტერესს, ძირითადად, ევროპის ის ქვეყნები გამოხატავენ, რომლებსაც საზღვრები აქვს რუსეთთან. როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ ჩვენი ომში ჩართვა, გარკვეულწილად, რუსეთთან მათ დაპირისპირებას შეასუსტებს, რუსეთის არაჯანსაღი ინტერესები ჩვენკენ გადმოერთვება და საქართველო მათთვის შეიძლება, მეხამრიდიც გახდეს. გარდა ამისა, ჩვენს უახლოეს ისტორიას თუ გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, როდესაც, სწორედაც რომ რუსული მმართველობითი სისტემა იყო, ერთპიროვნული და სადისტური, დემოკრატიის შუქურას უწოდებდა სააკაშვილს ის დასავლეთი, რომელიც ახლა ცდილობს, რომ საქართველო რუსულ ორბიტად მონათლოს. მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილი დაუფიქრებლად, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ ასრულებდა მათ დავალებებს და მისი დაკარგვით დავალებათა კარგი შემსრულებელი დაკარგა დასავლეთმა. თუმცა, მთელი დასავლეთის ერთ ჩარჩოში მოქცევის წინააღმდეგი ვარ, მხოლოდ იმ ნაწილს ვგულისხმობ, ვინც ცდილობს, როგორც სახელმწიფოებივი, ასევე პირადი ინტერესები გაატარებინონ საქართველოს ხელისუფლებას. ამიტომ მათთვის რთული წარმოსადგენია და შეშფოთებას გამოხატავენ იმის გამო, რომ საქართველომ, როგორც იქნა, საკუთარი ქვეყნის ინტერესების გატარება დაიწყო, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

- რამდენიმე ევროპარლამენტარმა, კონრეტულად, ბალტიისპირელმა დეპუტატებმა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება მოითხოვეს და ეს დეპოლარიზაციის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად დაასახელეს. ნამდვილად არ არის მისაღები მათგან ასეთი ჩარევა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში...

ზაალ ანჯაფარიძე:

- ასპროცენტიანი სიზუსტით ვერ დავადასტურებ, მაგრამ ეს ინფორმაცია ადრე სხვებმა გაახმაურეს და ამჯერად მეც მივიღე ჩემი წყაროებით, რომ შესაძლოა, პოლონეთმა და ბალტიის ქვეყნებმა დაბლოკონ საქართველოსთვის

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების პროცესი. სავარაუდოდ, მათ ან ყალბი ინფორმაცია აქვთ რადიკალებისგან მიწოდებული, ან ადგილი აქვს პოლიტიკურ კორუფციას. საქართველოს „საუკეთესო მეგობრები“ ვართო, გაიძახიან და თან პირზე დუქმორეულნი სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ ვითომდა დეპოლარიზაციის გამო. გამოდის, რომ საერთოდ არ იცნობენ ქართველი ხალხის განწყობებს, არ იციან აქაური სინამდვილე და მხოლოდ იმ დასმენის წერილების საფუძველზე მსჯელობენ, ოპოზიცია რომ აფრიალებს. ან მართლა უნდათ, რომ ცალ ფეხზე მდგომი გვიხილონ, მართლა ჰგონიათ, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარია და უდანაშაულოდ იხდის სასჯელს, ან არადა, ხელს აძლევთ მიშას გათავისუფლება და მსგავსი ნარატივის გაჟღერება.

ალბათ, ხელისუფლებასაც უნდა ვუსაყვედუროთ იმის გამო, რომ კარგად ვერ იმუშავა ევროპარლამენტში, რათა ჩვენი ქვეყნის რეალური სახე და განწყობა დაენახებინა მათთვის. ევროპარლამენტი გახდა აუღებელი ციხესიმაგრე, სადაც ისე გაიმყარეს პოზიცია „ნაციონალებმა“ 10-12 ლობისტის დახმარებით და კარდაკარ სიარულით, რომ მხოლოდ მათთვის სასურველ ინფორმაციას აწვდიან ევროპარლამენტს და გამუდმებით ცდილობენ საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციას. „ქართულმა ოცნებამ“ ამ ზღვრის გავლა ჯერჯერობით ვერ მოახერხა.

მიხეილ გოგინაშვილი:

- სააკაშვილის გათავისუფლებას მოითხოვენ, რადგან ის ყველაფერს ასრულებდა, რასაც ისინი ავალებდნენ, თუნდაც ჩვენი ქვეყნის საზიანოდ. გარდა ამისა, შესაძლოა, შიშიც აქვთ, რომ სააკაშვილმა ხმა არ ამოიღოს, თორემ მთელმა მსოფლიომ იცის, რაც არის მიშას „დემოკრატია“. სააკაშვილისა და ჩვენი დაუძინებელი „მეგობრების“ ქმედებისა და გამონათქვამების გამოძახილი იყო ზუსტად ტყუილითა და ათასგვარი ინტერპრეტაციით გაჟღენთილი ის რეზოლუციები, რაც ევროპარლამენტარებისგან მოვისმინეთ. შეტევაზე გადმოდიან და სარკეში ჩახედვას გვირჩევენ, არადა, არ იქნება ურიგო, მარია კალიურანდმა სარკეში თავად ჩაიხედოს და გაიხსენოს, როგორ ურთიერთობდა კომუნისტურ პარტიასთან. მათი რიტორიკა წარმოუდგენელი და შეურაცხმყოფელია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც იციან, საკუთარ თავზე გამოუცდიათ და ახსოვთ სააკაშვილის მმართველობა. ასეთი „მეგობრები“ ევროპარლამენტში, კი არ აღვივებენ, პირიქით, კლავენ დასავლეთისადმი ინტერესს და სწორედაც რომ რუსულ საქმეს აკეთებენ.

ევროპარლამენტი საქართველოს მოქალაქეებს ეუბნება, რომ სააკაშვილი იყო დემოკრატი, ქვეყანას აშენებდა, მაგრამ მოსახლეობა ხედავდა, რომ ისინი (ნაცები), რეალურად ტელევიზიებს არბევდნენ, ქონებას ართმევდნენ, დემონსტრაციებს სისხლში ახშობდნენ, ახალგაზრდებს ქუჩაში ხოცავდნენ, აწამებდნენ და შეურაცხყოფდნენ პატიმრებს, ხელი მოაწერეს რეზოლუციას, რითაც ომის დაწყება საქართველოს ჯარისკაცებს დააბრალეს, ქვეყნის სტრატეგიული ობიექტები და ტერიტორიები რუსეთს გადაუფორმეს და ა.შ. ყველაფერი რომ იცი, გახსოვს და მაინც გიმტკიცებენ, რომ თურმე, ეს ყოფილა დემოკრატია, თავისთავად, სკეპტიციზმს აღვივებენ საზოგადოებაში. საქართველოს მოქალაქეს უჩნდება აზრი, რომ ეს ის ევროპა არ არის, საითაც ის უნდა მიილტვოდეს. ამიტომ ასეთი ევროპელი პარლამენტარები ზუსტადაც რომ რუსულ საქმეს ემსახურებიან საქართველოში. ეს სპეციალურად კეთდება და მათი ნარატივი იგივეა, როგორიც, მაგალითად, არის ელენე ხოშტარია, რომელიც რუსული „რუბლებით“ ფინანსდება, მაგრამ „მედასავლეთეს“ ნიღაბი აქვს მორგებული. ამას ხომ ხედავს საზოგადოება, ამის არდანახვა შეუძლებელია!

ცოტა ხნის წინათ, გორში „ნაციონალების“ დროს გაყიდული მიწა გაიყიდა თავიდან და მოსახლეობამ გააპროტესტა, ჩვენი საძოვრებია და არ გაგაყიდინებთო. როგორც კი ეს გაიგეს, „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ორგანიზაცია პირველი გაქანდა, დადგა და მოსახლეობას „თანადგომა გამოუცხადა“ იმ მიწის გასხვისების გამო, რომელიც თავად გაყიდეს. ასეთი ფარისევლები არიან, ასეთი ორმაგი სტანდარტებით მოქმედებენ და ამის ბევრი მაგალითი გვაქვს. ამიტომაც, გულსატკენია, როცა ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ უკვე აშკარად ცდილობენ, საქართველოში უმცირესობას უმრავლესობის გაკონტროლების საშუალება მისცენ.

- მოისმინეთ ალბათ, ანი წითლიძის სამარცხვინო გამოსვლა ევროპარლამენტში, სადაც ის საკუთარ ქვეყანას ლანძღავდა. კარგი იქნება, რაიმე სახის ბერკეტი გააჩნდეს ხელისუფლებას, რომ ასეთი თავისმომჭრელი ნარატივი არ გაისმას მსგავსი მნიშვნელობის მქონე შეხვედრებზე...

ზაალ ანჯაფარიძე:

- რატომ ჰგონიათ ოპოზიციას და მასთან აფილირებულ ჯგუფებს, რომ უნიჭო, მდაბიო პერფორმანსები საზოგადოების მხარდაჭერას მოუტანთ, არ ვიცი. მნიშვნელობა არა აქვს, ანი წითლიძე იქნებოდა თუ ვინმე სხვა, რადგან როგორი ცუდია ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და როგორ არ იმსახურებს საქართველო კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო ვიზალიბერალიზაცია, გააფორმა ხელშეკრულება თავისუფალ ვაჭრობაზე, მოაწერა ხელი ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგს და ესენი, ვინც არბევდნენ, ართმევდნენ, ხოცავდნენ... ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ „რუსულია“ და თავად „მედასავლეთეები“ არიან. ასეთ ამოტრიალებულ წარმოსახვით სამყაროს ქმნიან და უმტკიცებენ საქართველოს მოსახლეობას, რომ მართლები არიან. მოსახლეობა ამას რომ ხედავს, ამიტომაც არ აძლევს მათ ხელისუფლებაში დაბრუნების საშუალებას, **არც ოპოზიციად ვარგანან და დარბიან ასე, ქვეყნიდან ქვეყანაში**... ამით ცდილობენ, რომ ქართველი ხალხი და ხელისუფლება გაყონ, თუმცა ვერ ითვალისწინებენ იმას, რომ ეს ხელისუფლება ქართველმა ხალხმა მოიყვანა.

- ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რა მოლოდინი გაქვთ, მისცემენ თუ არა საქართველოს წლის ბოლოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს?

ზაალ ანჯაფარიძე:

- სტატუსის მოცემა-არმოცემის საკითხი 50/50-ზეა და დიდწილად, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარება მოვლენები უკრაინის გარშემო, უშუალოდ, უკრაინის ფრონტზე. იმ გეოპოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, რაც ახლა რუსეთსა და კოლექტიურ დასავლეთს შორის არის, შესაძლოა, ეროკავშირში ფიქრობენ, რომ საქართველოსთვის მეორედ უარის თქმა ამ ქვეყნის პირდაპირ რუსეთისთვის ხელში ჩადებას ნიშნავს. ბევრს აქვს დელეგაციაში უნდა შედიოდენენ, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები. ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებას“ ბერკეტი არა აქვს, ოპოზიცია, ვისაც უნდა, იმას ჩასვამს დელეგაციაში. წითლიძე თუ არ იქნებოდა, იქნებოდა ბოკუჩავა ან სხვა ვინმე და ამით არაფერი შეიცვლებოდა.

მიხეილ გოგინაშვილი:

- ჯერ ხელისუფლებაში ყოფნის დროს რა დამართეს ჩვენს ქვეყანას, ახლა კი დადიან და ევროპარლამენტის კორიდორებში უმტკიცებენ ადამიანებს, თუ იმედი, ამაზე აკეთებენ გათვლას, ჰგონიათ, რომ უარის შემთხვევაში სახალხო გამოსვლები დაიწყება და ამით ხელისუფლებას დაამხობენ. ამას ვერ მოახერხებენ, მაგრამ ევროსკეპტიკოსთა რაოდენობა კი შეიძლება გაიზარდოს. მეორედ ასეთი შესაძლებლობის ფანჯარა, შესაძლოა, დიდხანს არ გაიხსნას და თუკი საქართველოს მოსახლეობა ჩათვლის, რომ ჩვენ ევროპას არ ვჭირდებით, რუსეთი კიდევ უფრო გაიმყარებს გავლენებს საქართველოში. **საქართველოს დაკარგვა კი ნამდვილად არ უნდა შედიოდეს ევროკავშირის ინტერესებში**. ბრუსელში, დისკუსიაზე გამოიკვეთა, რომ ევროკავშირი და საქართველო სხვადასხვანაირად აფასებენ 12 რეკომენდაციის შესრულების ხარისხს. საქართველოს მხარე მიიჩნევს, რომ მათ რეკომენდაცია თითქმის შეასრულეს დეპოლარიზაციის გარდა, მაგრამ ევროპელების მოსაზრებით, რეკომენდაციები მხოლოდ ზედაპირულად შესრულდა. აქაც პრობლემაა აღქმებში. არაერთხელ მითქვამს, რომ, ვიდრე შუალედურ დასკვნამდე მივიდოდით, საჭირო იყო მეტი კომუნიკაცია საქართველოს ხელისუფლებასა და ევროპული ქვეყნების ხელისუფლებებთან, ევროსტრუქტურებთან, რათა მათთვის ჩვენი ქვეყნის რეალური სახე დაენახებინათ და ერთნაირი აღქმა გვქონოდა. საკმაოდ რთული სიტუაციაა და ვნახოთ, რა მოხდება. თუ საქართველოში მიიჩნიეს, რომ რეკომენდაციები შესრულებულია და ევროპელებმა თქვეს, რომ მათ ეს ასე არ წარმოედგინათ, რა თქმა უნდა, მათ შესრულებას არანაირი აზრი არა აქვს.

მიხეილ გოგინაშვილი:

- კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი, გარკვეულწილად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიტუაცია იქნება უკრაინაში და რა გავლენა ექნება ამერიკას ევროპაზე იმ მოცემულ მომენტში. ეს არის სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილება. რაც სულ ახლახანაც ვიხილეთ, როცა დსთ-ის წევრ ქვეყანას მისცეს სტატუსი და ჩვენ - არა. ყველა მიმართულებით ჩვენ მათზე წინ ვიყავით, მაგრამ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და იმაზე გაბრაზებულებმა, რომ საქართველო კონფრონტაციაში არ ჩაერთო, არ წავიდა ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ, „დაგვსაჯეს“ და სტატუსი არ მოგვანიჭეს. იმედია, ახლა გონს მოვლენ და გაითვალისწინებენ, რომ საქართველოს დაკარგვა არ ღირს. საქართველო არის მათი ერთადერთი მყარი მხარდამჭერი კავკასიის რეგიონში და პარტნიორი - შავი ზღვის აუზში, ასევე, მნიშვნელოვანი დერეფანი აბრეშუმისა და ევრაზიის დამაკავშირებელ გზაზე. ევროპარლამენტარებს შორისაც არიან ისეთები, როგორიც, მაგალითად, ჩვენთან ხაბეიშვილია და ევროპელი „ხაბეიშვილები“ რას იტყვიან, ნაკლებად გვაინტერესებს. იმედია, სახელმწიფოების ხელისუფალნი მრავალ ფაქტორს გაითვალისწინებენ, „სიბრაზეს“ საღი აზრით გადაწონიან და კანდიდატის სტატუსსაც დამსახურებულად მოგვანიჭებენ.

ნონა ქარქაშაძე



რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...

დასაწყისი „სგ“ N9

საქართველოს მოსახლეობის ინტელექტუალური დონე ისეთი სისწრაფით ეცემა, ძალიან მალე აღარც ექიმი გვეყოლება ჭკუისაკითხავად და აღარც სხვა რომელიმე პროფესიის მქონე. როდესაც მუცლის არეში გაურკვეველი ჩივილის გამო დიაგნოზის დასმა დასჭირდა ახლობელს, ორი კვირა ვეძებდით ამ მიმართულების ექიმს, რადგან სანდოდ მიგვაჩნდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დროინდელი განათლების მქონე ასაკოვანი ექიმი. ის კი, რასაც ტექნიკური პროგრესის წყალობით ხედავს ექიმი მონიტორზე და მზა დიაგნოზს გაახლებს 100-მდე დასახელების მედიკამენტის ჩამონათვალთან ერთად და სიტყვიერად გაზეპირებულ (დატრენინგებულ) ფრაზებს გეუბნება, მიუღებელია... კოლხი მედეასა და მგელიკა ლიქოკელის ქვეყანაში ისეთი რა გასა-

ჭირია, რომ პროფესიონალი ექიმი სანთლით საძებარი იყოს, ხოლო წამალი — ნახევრად საწამლავი, ერთ ავადობას ირჩენდე და მეორეს იმართებდე გვერდითი ან უკუჩვენების სახით?

1918 წლიდან მოყოლებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უამრავი გასაჭირი გადაიტანა, გასაბჭოების პერიოდიც, მაგრამ 1933 წელს, ლავრენტი ბერიას მითითებით, ისევ აღდგა და ღირსეულადაც. დიდი სამამულო იმის დროსაც კი, ოტო შიკედანცის მიერ ფიურერისადმი მიწერილ ანგარიშში ხაზგასმით ეწერა, რომ კავკასიაში ერთი უმაღლესი სასწავლებელი მაინც უნდა დარჩენილიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახით და ქართველებს რა ასეთი ხელისბიჭობის ნეტარებამ დარია ხელი, რომ 2005 წელს, ფაქტობრივად, არსებობა შეაწყვეტინეს როგორც უნივერსიტეტს, როდესაც მას სამეცნიერო სექტორი გაუუქმეს, ხოლო ლექტორებად „საააკაშვილისტი“ უწიგნური „პროფესურა“ შეუსიეს თეა თუთბერიძეების სახით...

„გადავარჩინოთ უნივერსიტეტი, გადავარჩინოთ საქართველო!“ — მოუწოდებდა ყველას ცხონებული გურამ შარაძე და სწორედ ასეთი, საქართველოს სულიერი და მატერიალური საგანძურის გადასარჩენი მოწოდებების გამო მოკლეს ვერაგულად...

ჩვენივე უმოქმედობით გვაქციეს „განვითარებად ქვეყნად“ და ახლა ჭკუას გვასწავლიან და ჩვენს შინაურ საქმეებში ცხვირს ჰყოფენ უცხო ქვეყნის წარმომადგენლები თუ მათ მიერ დასმული საქართველოს მოქალაქე მავნებელი მავნებლები; გვასწავლიან, რა კანონები უნდა მივიღოთ, როგორ განვახორციელოთ და როგორ უნდა ვიფიქროთ...

გავიგეთ, ვიცით, რომ სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის გამო წინააღმდეგობის გამწევი ძალა ვერ იქმნებოდა, „სხვაგვარად მოაზროვნეებისთვის“ ციხე და ადგილზე ლიკვიდაცია ნებადართული იყო, მაგრამ 11 წელი გავიდა, სხვა ხელისუფლებაა, ეს ხელისუფლება მაინც რატომ არის უმოქმედოდ, რატომ უყურებს ასე გულცივად საკუთარი ქვეყნის ახალგაზრდებისა და მომავალი თაობების გაუნათლებლობას?

სწორი პოლიტიკური კურსის არჩევა, ეკონომიკის აღორძინება და განვითარება, შეუძლებელია შესაბამისი დარგების მაღალი დონის სპეციალისტების გარეშე და ვართ კიდეც ასე გაუგებრობაში, დაქცეული ეკონომიკით. თანამდებობებსა თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში პარტიული სიებით, მეგობრობით თუ შემთხვევით მოხვედრილი პირები რისი ამღორძინებელი და განმავითარებლები არიან...

როდესაც ვამბობდით (პირადად მეც), რომ არასწორი იყო მოსაზრება, თითქოს სახელმწიფო და კერძო სასწავლებლებს შორის ჯანსაღი კონკურენცია ხელს შეუწყობდა განათლების კრიზისიდან გამოყვანას, რადგან დარჩებოდა ძლიერი უმაღლესი სასწავლებელი და სუსტი გაქრებოდა, არავინ შეისმინა. ძალიან მალევე გამოჩნდა, რომ **მოსახლეობას სწავლა კი არა, მხოლოდ დიპლომი აინტერესებს და გაიმარჯვებს ის სასწვლებელი, რომელიც შედარებით მარტივად და იაფად გასცემს დიპლომს.**

როდესაც რეიგანმა განათლებაზე სახელმწიფო დაფინანსების შემცირება განიზრახა და შესაბამისი კანონპროექტი სენატში შეიტანა, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა (ვინაობა არ მახსოვს) მას მისწერა: „თქვენ თვლით, რომ განათლება ქვეყანას ძვირი უჯდება. გაითვალეთ, თუ რა დაუჯდება ქვეყანას ხალხის გაუნათლებლობა!“ რეიგანმა განზრახვაზე ხელი აიღო.

აბა, ახლა საქართველოს გადავხედოთ, რამდენი და რად უჯდება ამდენი გაუნათლებელი ახალგაზრდის უსაფუძვლოდ ამბიციური მისწრაფებების დაოკება?

რა უჯდება ქვეყანას ხალხის გაუნათლებლობა?

ცნობილი ამბავია, ნიკო კეცხოველის რექტორობის დროს აკადემიური ჩამორჩენის გამო ხევსური ყმაწვილი გარიცხეს უნივერსიტეტიდან. ერთ დღეს ქამარხანჯლიანი ხევსური კაცი დაუჯდა წინ და ხმალი დაუდო. რა ხდებაო? —გაოცდა ბატონი ნიკო. მე შვილი ასალესად ჩამოგიყვანე და უკან ჩლუნგს მატანო? მრავლისმთქმელია...

განათლება რა შუაშია კი არა, თავშია!

ადამიანის ტვინს საკმაოდ დიდი ენერგია სჭირდება აზროვნებისთვის. ამ ენერგიას ადამიანი საკვებით იღებს. მშიერი ადამიანი ვეღარ აზროვნებს.... რას ჭამ, გააჩნია, უჯრედისია, ცილა თუ ნახშირწყლები....

თუ არ განათლდი, რა იცი, რაში რა არის?

იდეალური მოცემულობაა დადებული, რომელი საკვები რას უმახვილებს ადამიანს. ეს ერთგვარი მითითებაა, თორემ ადამიანი ვერაფრით მიირთმევა იმ რაოდენობის პროდუქტს, რაც დღიური ნორმაა. „ფასონი“ მოიგონეს, ვეგეტარიანელობა „ვეგანად“ აქციეს და „სვეტსკი“ გახადეს.

ადვილად სამართავ ხალხს აზროვნება არ უნდა ჰქონდეს! — მწარედ და უხეშად ხომ არ ვამბობ? ასეა!

ერთხელ და სამუდამოდ ვისწავლოთ ყველაფრისთვის იმ სახელის დარქმევა, რაც არის!

ჩვენ ვინ ვართ, მადადიული ნატო-ს მათხოვარი და ახლა მითიური ევროკავშირისა?

დიდი ბრიტანეთი გავიდა ამ ე.წ. პატივცემული ევროკავშირიდან, შვედეთი ევროკავშირის ფორმულირების გადახედვას აპირებს; საფრანგეთისა — მოგეხსენებათ, ჩვენ სადღა ვერჭობით ნეტავ, ნისკარტა ცხვირით?

გვაინტერესებს და ვალდებულია ჩვენი ხელისუფლება, რომ განგვიმიმარტოს რიგით მოქალაქეებს: რა სარგებელი და უკუგება გვექნება საქართველოს ევროკავშირში?!

მოდი, ვაღიაროთ, რომ „უცხოურ დახმარებებზე“ დამოკიდებულება რომ არა, ბევრად წინ ვიქნებოდით ყოველმხრივ!

ამისი თქმა ძნელია?!“

სულაც არა!

არ მახსოვს მისი გვარ-სახელი, კორეის ელჩმა თქვა: როდესაც ჩვენ ვისწავლეთ „არას!“ თქმა, ჩვენ გავხდით სახელმწიფოო!

ამბავს მოგიყვებოდით, მაგრამ დამცინებთ, იტყვით, ვის დაჰკარგვია ნინო დაუშვილი და მერაბ ჯიბლაძეო. ბატონი მერაბი გაცხადებული ფიზიკა იყო, მე — თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ, მცირედად მოგითხრობთ: „ამჟამად შეიქმნა, პრაქტიკულად არაკონტროლირებადი და სერიოზული სიტუაცია: **რამდენიმე წელიწადში მსოფლიოში ტვინის კიბოს დაავადების აფეთქების მოწმენი გავხდებით!**

ტექნიკური მიღწევები მიგვიყვანს აქამდე, სხვას არაფერს ამბობს ბატონი მერაბი, მაგრამ ეს რომ გაიგო, რა გჭირდება? ასეა!

ულტრამაგნიტური ტალღა იძლევა იმ მომაკვდინებელს, რაც პროგრესია — გავიცინოთ და გავიაროთ, „ჩვენ ეს გვჭირდება!“ — ეს მონიშნული ტექსტი ვერ გავიგე!!!!!

მაინტერესებს, თუ დაიწყო ბრიტანეთმა კვლევების ახალი ეტაპი, რომელშიც 2000 000 ცნობისმოყვარეს უნდა მიეღო მონაწილეობა, ისადა, ხომ არ ჩაუფლავდათ?

ე.წ. კიბოს იცით, რა აჩენს?

სულიერად — სიყვარულის უკმარისობა!

ფიზიკურად — ლოკალური რადიონუკლეინური თერაპიის უქონლობა, რაც ისევ სიყვარულია!

რადიაქტიურ გამოსხივებასა და მის საზიანო გავლენაზე, დნმ-ის ბირთვსა და კიდევ ბევრ სხვა რამეზე შემდგომ მოგითხრობთ.

ნინო დაუშვილი

დონალდ ტრამპი: ამერიკა დაღმასვლას განიცდის

მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოების ყურადღება ამერიკის შეერთებული შტატებისკენ არის მიპყრობილი. ქვეყანაში უაღრესად გამწვავდა პოლიტიკური ვითარება. მართალია, პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა შეძლო რესპუბლიკელი კონგრესმენების დაყოლიება და დეფოლტის თავიდან აიცილება, მაგრამ დაპირისპირება კვლავ უფრო ღრმავდება. უკმაყოფილებაა ტრადიციული წესით მაცხოვრებლებსა და ლგბტ თემს შორის.

გასულ კვირას იუსტიციის სამინისტრომ აშშ-ის 45-ე პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს ოფიციალურიდ წაუყენა 37-პუნქტიანი ბრალდება. აქედან 31, ფაქტობრივად, შპიონაჟის მუხლია, რომლის მიხედვითაც ტრამპს 400-წლიანი პატიმრობა ელოდება. საქმე ეხება ტრამპის საცხოვრებელში რამდენიმე წლის წინათ ჩატარებული ჩხრეკისას აღმოჩენილ საიდუმლო საბუთებს, რომლებიც თურმე სააბაზანოშიც ინახებოდა. ტრამპს ასევე ადანაშაულებენ იმაშიც, თითქოსდა ბევრს საუბრობდა საიდუმლო თემებზე იმ ადამიანებთან, ვისთანაც არ შეიძლებოდა. აშშ-ის პრესამ ტრამპისთვის ბრალდების წაყენება ომის გამოცხადებად შეაფასა. ასეთი რამ აშშ ისტორიაში ჯერ არ ყოფილა.

დონალდ ტრამპი ბრალდებას მშვიდად შეხვდა, საკუთარი თვითმფრინავით ჯორჯიის შტატში გაემგზავრა გოლფის სათამაშოდ, სადაც ასეულობით მხარდამჭერი დახვდა. „... კუდიანებზე ნადირობა აშშ-ში ახალი ძალით იწყება... ყოველივე, რაც ხდება, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში აშკარა ჩარევა და ამომრჩეველზე ღია ზეწოლაა, რაც ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა. ქვეყანა დაღმასვლას განიცდის“, - განაცხადა ტრამპმა. ახლა სასამართლომ უნდა გამოიტანოს ვერდიქტი: დამნაშავეა თუ არა ტრამპი. გამოცემა „პოლიტიკოსთან“ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ თეთრი სახლისთვის ბრძოლას განაგრძობს, თუნდაც სასამართლომ გაამტყუნოს. „... კორუმპირებულ პრეზიდენტ ბაიდენს და მის ადმიანისტრაციას სრული შემადგენლობით გავიყვან თეთრი სახლიდან“, - განაცხადა ტრამპმა ინტერვიუში. მისივე თქმით, გარკვეული ძალები, დემოკრატების მეთაურობით, ცდილობენ, რომ მან მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვოს.

მიუღებელი აღმოჩნდა ბრალდებების წაყენება არჩევნებში ტრამპის უშუალო კონკურენტებისთვისაც. ფლორიდის გუბერნატორმა რონ დესანტისმა 24 მაისს საკუთარი კანდიდატურა ოფიციალურად წამოაყენა. დემოკრატებისთვის იგი მიუღებელი პერსონაა ლგბტ თემთან მტრული დამოკიდებულების გამო. დესანტისის თქმით, „ხელისუფლებაში ყოფნა აშშ-ში პოლიტიკურ იარაღად იქცა“. მაიკ პენსი ტრამპის დროს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას იკავებდა, თუმცა 2019 წლიდან ტრამპსა და პენსის შორის „შავმა კატამ“ გაირბინა, მათი ურთიერთობა გაცივდა, ერთმანეთთან, ფაქტობრივად, უბრად იყვნენ. მიუხედავად ამისა, ბრალდების გამოქვეყნების შემდეგ პენსმა ყოფილი შეფის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთა.

პოლიტიკოსების გარდა ტრამპზე ზეწოლით უკმაყოფილოა აშშ-ის მოსახლეობაც. ჯერ კიდევ ორი თვის წინათ მანჰეტენის (ნიუ-იორკი) სასამართლომ ტრამპი გაამართლა, მას ფინანსურ მაქინაციებს ედავებოდნენ.

აშშ-ის პრესას აინტერესებს, რატომ არ მიმდინარეობს მოკვლევა ჯო ბაიდენის საცხოვრებელში აღმოჩენილ საიდუმლო საბუთების წარმომავლობაზე და რა მიზნით გაიტანა იმდროინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ისინი. არ გამოძიებულა ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის მიერ საიდუმლო მიმოწერებისთვის პირადი კომპიუტერის გამოყენების საქმეც. ტრამპის გუნდის წევრებს მოწინააღმდეგეების მიმართ შემხვედრი პრეტენზიები აქვთ. საინტერესოა, რომ ბრალდება გაახმოვანა პროკურორმა ჯეკ სმიტმა, რომელიც, იქაური პრესის ინფორმაციით, დემოკრატების მხარდამჭერი და მათი მოვალეა. საკუთარი პრობლემები საკმაოდ აქვს მოქმედ პრეზიდენტ ჯო ბაიდენსაც. რესპუბლიკელმა კონგრესმენებმა გასულ კვირას ის პირდაპირ დაადანაშაულეს ქრთამის აღებაში. ვიცე-პრეზიდენტობისას მისი შვილი ჰანტერი უკრაინაში მუშაობდა. სწორედ მისი მეშვეობით ჰქონდათ უკრაინელებს აშშ-ის ადმინისტრაციის მხარდაჭერა. გაიხსენეს ჯო ბაიდენის საჯარო განცხადება, სადაც ის ამბობდა, რომ უკრაინის იმდროინდელი გენერალური პროკურორის მოსახსნელად ექვსი საათი დრო მივეცი და შემისრულესო. რესპუბლიკელების მტკიცებით, მამა-შვილმა ბაიდენებმა უკრაინელებისგან ქრთამის სახით ათი მილიონი დოლარი მიიღეს. ეს, რაც ცნობილია. კონგრესმენებს მიაჩნიათ, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო განგებ მალავს ბაიდენების ოჯახის შესახებ მათ ხელთ არსებულ ინფორმაციებს. ექსპერტების შეფასებით, აშშ-ის პოლიტიკური სიტუაცია ბუნდოვანია.

საგანგაშო ინფორმაცია გავრცელდა გასულ კვირას: რუსეთის მიერ მიერთებულ ანექსირებულ ხერსონის ოლქში ააფეთქეს კაზოვკის ჰიდროელექტროსადგური. ცნობისთვის, გიგანტური ხელოვნური ტბის მშენებლობა 1950 წელს დაიწყო და ხუთ წელიწადში დასრულდა. წყალსაცავს, ელექტროსადგურების მომსახურების გარდა, სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც გააჩნდა. აფეთქების შედეგი კატასტროფული აღმოჩნდა, დაიტბორა მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირი, დაზიანდა და დაინგრა საცხოვრებელი სახლები, გაანადგურდა სასოფლო-სამეურნეო სექტორი, არიან დაღუპულები და დაშავებულები.

მომხდარში უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ რუსეთი დაადანაშაულა.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა რიში სუნაკმა განაცხადა, „ჯერ ვსწავლობთ შექმნილ ვითარებას, თუ აფეთქება გეგმაზომიერად მოხდა, ეს იქნება უპრეცედენტო დანაშაული“.

„ფოქს-ნიუსიდან“ გათავისუფლებული ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ტაკერ კარლსონი ახლა უკვე სოცქსელებიდან აკეთებს საკუთარ რეპორტაჟებს. მისი თქმით, „ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი იტყვის, რომ რუსეთის საკუთარ ტერიტორიაზე წყალსაცავს არ ააფეთქებდა“.

მომხდარის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა სასწრაფოდ დაურეკა რუს კოლეგას, ვლადიმირ პუტინს ზუსტი ინფორმაციის მისაღებად.

კატასტროფული შედეგების აღმოფხვრას ხანგრძლივი დრო დასჭირდება. საბედნიეროდ, ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურს საფრთხე ჯერ არ ემუქრება, აგრეგატების გაციების პროცესი გეგმაზომიერად მიმდინარეობს. დატბორილ ტერიტორიებზე კი წყლის დონე იკლებს.

დაანონსებული კონტრშეტევა უკრაინამ გასულ კვირას დაიწყო, თუმცა დანაკარგებს განიცდის, რასაც სი-ენ-ენი და სხვა საინფორმაციო საშუალებები ადასტურებენ. ჯონ კირბის განცხადებით, უკრაინის დანაკარგები მოსალოდნელი იყო. გენერალი მარკ მილი კი მიიჩნევს, რომ „რუსეთ-უკრაინის ომი დინამიურად მიმდინარეობს, წინასწარ ძნელია რაიმე შედეგის განსაზღვრა“.

ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი უკრაინას შეჰპირდა, რომ მათთვის დახმარების გაწევას გააგრძელებენ. მისი წინამორბედის, რასმუსენის განცხადებით, თუ უკრაინას არ მისცემენ ალიანსში გაწევრიანების გარანტიას, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ერთობლივი ჯარები შევლენ ქვეყანაში უკრაინის დასახმარებლად. საერთოდაც, სწორედ კონტრშეტევის შედეგებზეა დამოკიდებული, გააგრძელებენ თუ არა პარტნიორები უკრაინისთვის დახმარებას და იარაღის მიწოდებას.

გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ აშშ დამატებით ორი მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღს მიაწვდის უკრაინას. კიევში დაუგეგმავი ვიზიტით ჩავიდა კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრიუდო, რომელმაც ნახევარმილიარდიანი დახმარება აღუთქვა მასპინძლებს.

კანადაში დღეს ხანძრებმა კატასტროფულ ზღვარს მიაღწია. მეხანძრეებს უჭირთ სტიქიასთან გამკლავება. ამ დროს კი ქვეყნის მმართველი უცხოეთში მიემგზავრება, რამაც კანადის მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.

გასულ კვირას სოჭში გაიმართა დსთ-ის ქვეყნების მთავრობების მეთაურების შეხვედრა, სადაც მინისტრები და სხვადასხვა გიგანტური წარმოებების ხელმძღვანელებიც მონაწილეობდნენ. შეკრებაზე პუტინმა განაცხადა: „ჩვენ არ ვაპირებთ მსოფლიო ეკონომიკისგან გამიჯვნას, პირიქით, გავაფართოვებთ სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობას“.

სოჭში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ბელორუსის პრეზიდენტის, ალექსანდრე ლუკაშენკოს და პუტინის შეხვედრა. ტრადიციულად, მათ საუბარზე მწირი ინფორმაციები ვრცელდება. ახლაც მხოლოდ ის განაცხადეს, რომ ბელორუსში სტრატეგიული ბირთვული იარაღის საცავების მშენებლობა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და დათქმულ ვადებში ქობინებსაც ჩაიტანენ. შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ ერთი კვირის წინათ მინსკში გაიმართა დსთ-ის უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელების შეხვედრა, სადაც ლუკაშენკომ განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნები ბელორუსში ძალისმიერი მეთოდებით აპირებენ ხელისუფლების შეცვლას. ისაუბრეს თუ არა სოჭში ამ თემაზე პრეზიდენტებმა, უცნობია.

თანამდებობიდან წასვლის შემდეგ დეპუტატის მანდატის დატოვებაც მოუხდა ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბორის ჯონსონს. მიზეზი პანდემიის პერიოდში მის რეზიდენციაში გამართული ღრეობები გახდა, რასაც კატეგორიულად უარყოფდა. წასვლისას დაიქადნა, რომ გაისად არჩევნების გზით კვლავ დაბრუნდება პარლამენტში. გასაოცარი არაფერია, დღვანდელ მსოფლიოში ყველაფერი მოსულა.

ორშაბათს იტალიიდან სამწუხარო ინფორმაცია გავრცელდა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი პოლიტიკოსი, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი...

გია ბურდული
551 71 27 07

სპეციალური საგამოძიებო სამსახური - მოქალაქეთა დაცვის გარანტი

სპეციალურ საგამოძებო სამსახურს უფლებამოსილება ეზრდება

მსოფლიოში იდეალური სამართალდამცავი ორგანოები არ არსებობს. საინფორმაციო საშუალებებით ხშირად გვინახავს ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, სპეცრაზმის წევრების მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ დაუნდობელი მოპყრობის ფაქტები, მაგრამ დასავლეთში ყველაფერი ეპატებათ...

დამნაშავეობასთან ბრძოლის დროს მნიშვნელოვანია, საზოგადოება ენდობოდეს სამართალდამცავს, მაგრამ, როდესაც კანონის დამცველი თავად გვევლინება კანონიერების დამრღვევად, სამართლიანობის აღსადგენად აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა.

სწორედ ამ მიზნით, 2012 წელს საქართველოში შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელიც, კანონის თანახმად, მხოლოდ პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული და მისი ძირითადი ამოცანაა, დაიცვას ნებისმიერი მოქალაქე სამართალდამცავის მხრიდან არასათანადო მოპყრობისგან.

როგორც ცნობილია, დღეს საქართველოში სპეციალურ საგამოძიებო უწყებას გამოცდილი პროფესიონალი კოკა კაციტაძე ხელმძღვანელობს. საზოგადოებას კარგად ახსოვს მისი, როგორც პროკურორის შეუვალობა, როდესაც ჯერ კიდევ გენერალური პროკურორის მოადგილის პოსტზე ყოფნისას „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ მაღალჩინოსნებს გახმაურებულ საქმეებზე ბრალი წაუყენა.

სპეციალური საგამოძიებო ორგანო და მისი მოვალეობები

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამსახური იძიებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის, ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ 2019 წლის 1-ელი ნოემბრიდან ჩადენილ ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა: წამება, მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, სამსახურებრივი უფლების გადამეტება, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, პირადი მიმოწერის, საიდუმლოების დარღვევა, რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა და სხვ. ე. ი. ყველა იმ დანაშაულს, რომელთაც, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სამართალდამცავი და მასთან გათანაბრებული ოფიციალური პირის მხრიდან.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოქალაქეს აღნიშნულ უწყებას ნებისმიერი შინაარსის საჩივრით მიუმართავს, მაგრამ სპეციალურ საგამოძიებო უწყებას უფლება აქვს, თუ საჩივარში აღნიშნული საკითხი მის კომპეტენციას სცილდება, უარი უთხრას დაინტრესებულ პირს საქმის განხილვაზეც კი.

როგორია სპეციალური საგამოძიებო უწყების მოქმედების სტატისტიკა? საინტერესოა 2022 წლის ასახული მონაცემები. ოფიციალური ინფორმაციით, საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული 1831 შეტყობინება შეეხებოდა 1918 პირს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ). შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა 60%-ის (1142 პირი) მიმართ შეტყობინებები არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, 13%-ის (242 პირი) მიმართ დაიწყო გამოძიება, 9%-მა (183 პირი) უარყო შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, 8%-ის (157 პირი) შემთხვევაში შეტყობინება წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ან/და სხვა უკვე მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით, 6%-ის (112 პირი) მიმართ შემოსული შეტყობინებები გადაიგზავნა სხვა უწყებაში, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას, ხოლო 4%-ის (82 პირი) მიმართ შემოსულ შეტყობინებებზე მიმდინარეობს საქმის წარმოება.

კაციტაძის უწყება რომ პოლიციელთა მიერ ჩადენილ ნებისმიერ დანაშაულს მიუკერძოებლად იძებს, ამას კიდევ ერთი შემთხვევაც მოწმობს, როდესაც პეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ვაშლოვანის ნაკრძალში მომხდარ ფაქტზე სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი დააკავა. სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, 2023 წლის 30 მაისს, ვაშლოვანის ნაკრძალში ტურისტების მიმართ ძალადობისა და იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელი დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უმცროსი სერჟანტი ი. ც. მიმდინარე წლის 28 მაისს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, ვაშლოვანის ნაკრძალში, ტურისტების ბანაკის მიმდებარედ ქვეითად პატრულირებას ახორციელებდა, რა დროსაც მათთან შელაპარაკება მოუვიდა. მან დიდი ბრიტანეთისა და ბელორუსის მოქალაქეებს თვითნებურად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხელბორკილი დაადო და რაიმე წინაპირობის არარსებობის მიუხედავად, სამსახურებრივი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთი გასროლა მოახდინა. საბედნიეროდ, არავინ დაზარალებულა. სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გამოძიებას განაგრძობს. აღნიშნული დანაშაული ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურების საერთაშორისო პრაქტიკაში უამრავი საინტერესო განსხვავება და პარალელები გვხვდება. როგორც ცნობილია, ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაში აღნიშნულ უწყებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, რაც ადამიანის უფლებების რეალურად მიუკერძოებელ დაცვას გულისხმობს.

რა ხდება ევროპულ ქვეყნებში, არსებობს თუ არა სპეციალური საგამოძიებო სამსახურების მსგავსი სტრუქტურები, რომლებიც საჯარო მოხელეთა დანაშაულს აღკვეთენ?

როგორც აღმოჩნდა, საერთაშორისო სამართალი არ არეგულირებს დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოების მანდატს. წამების, სხვა სახის არასათანადო მოპყრობისა და სიკვდილის შემთხვევებში, რასთანაც სამართალდამცავები არიან კავშირში, მრავალ განვითარებულ სისტემაში, სადაც ექსკლუზიური იურისდიქცია არ ვრცელდება, დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოები პასუხისმგებელნი არიან მოქალაქეების მიერ საპოლიციო სააგენტოებში წარდგენილი საჩივრების განხილვის პროცესის ზედამხედველობაზე და, საჭიროების შემთხვევაში, თავად უფლებამოსილები არიან, ჩაატარონ გამოძიება (პროაქტიურად ან საჩივარზე/გასაჩივრებაზე დაყრდნობით). ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაგალითია ინგლისი და უელსი, სადაც არ არსებობს ერთადერთი ეროვნული საპოლიციო ძალა. ამის ნაცვლად, მოცემული იურისდიქციის ფარგლებში დაახლოებით 43 ოპერაციულად დამოუკიდებელი საპოლიციო ძალა ფუნქციონირებს.

ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში პოლიციის წინააღმდეგ ნებისმიერი საჩივარი, პირველ რიგში, უნდა წარედგინოს პოლიციას, რომელიც პასუხისმგებელია საჩივრის გამოძიებაზე. თუ დაინტერესებული პირი არ არის კმაყოფილი შედეგით, მას შეუძლია იჩივლოს განყოფილებაში, რომელიც პოლიციის მიერ საჩივრებთან დაკავშირებულ გამოძიებებს ზედამხედველობს.

ცნობისათვის, ევროკომისიის 12 რეკომენდაციის მე-4 პუნქტში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციურ გაძლიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მიზნით სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული. შესაბამისად, 2022 წლის 30 სექტემბერს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი გაიზარდა და მას ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტების გამოძიების უფლებამოსილება მიენიჭა. ასევე, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების პროცესში გამოვლენილი ისეთი დანაშაულების გამოძიების წარმართვის უფლება აქვს, რომლებიც სამართალდამცავების მხრიდან შესაძლო მტკიცებულებების განადგურებას, უკანონო დაკავებას, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას და სამსახურებრივ სიყალბეს უკავშირდება (სსკ-ის 147-ე, 332-ე, 333-ე, 341-ე და 369[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები). ცვლილების მიხედვით, არჩევნებთან დაკავშირებულ ძალადობრივ დანაშაულებს (სსკ-ის 162-163 და 1644 მუხლები) სამსახური მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიძიებს, თუ მათ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი ჩაიდენს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს მიენიჭა უფლება, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების მიზნით დამატებითი მოსმენების ჩანიშვნის შესახებ მიმართოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტს, სადაც მისი ნებისმიერი პრეტენზია გათვალისწინებული იქნება და ამით საზოგადოების ნდობაც გაიზრდება.

ლევან ჭიღლაძე

მხატვარი იაგო ნიკოლაძე

ნანულას ძღვენი

— ზურაჯან, ამ კულიოკში ამას ნაღდი გველი ჰყამს, უფე ცხელა, გამოვიდნენ ი გონიატ, — ჩურჩულით გამაფრთხილა ერვანდამ.

— რა იყო, ნანულის შემოვევლე, რამ წამოგახტუნა სისხამზე? — დავუშაქრე ენა.

— გიჟს ვგავარ!

— მითამ არა ხარ, — თავისთვის ჩაილაპარაკა ერვანდამ, მაგრამ ნანულის ყურს რამეს ააცდენდა?

— ზურ, შენი ხათრით, თორემ ეს უკვე გასრესილი მეყოლებოდა, — მადლი მომასხა ნანულიმ.

— ტო, ზურაჯან, ამას რა უნდა? პრადედუშკიდამ ვიცი, რო ეგრეა: ტუდა ბილა ირანი, სუდა ბილა — ქართველო.

— შენ გეცეს ირანული გველი! — მიაწყევლა ნანულიმ.

— მეცეს! ინაღვლოს! ვა, რა უნდა ამ გნიდას, ირანელი განეცი ვარ? ნახიჭევან ნაზივაეტსია!!!! მე ნახიჭევანელი ჯიგარი ვარ. ნუ, მთლათ ეგრეც ვერა ვარ, კაკ გავარიატ, „შურტვაც ჰაი“ ვარ, მაგრამ ხო ვარ! აი, ეგეთი ვრედნი ქართველი ჯერ არ მინახამს! — დაასვა ბეჭედი ერვანდამ ნანულის ქართველობას. ნანულის მუდარაგანსხეულებულ სახეს ვერ გავუძელი:

— ბიჯო, რა გინდა ნანულისგან?

— მე მინდა? მაგას უნდა! გადი-მოდი — გველი!

— ბიჯო, მასე გვეფერება!

— არ მინდა, ფინთათ მიდის! სლუში, ეგ ქუქუბარდია ვერლავესაა? — ანგარიშმიუცემლად დაისხა ერვანდამ და ისე გადაჰკრა, ჩვენ არც გავხსენებივართ.

— რა, გიკბინა? — თვალი ჩავუკარი ნანულის და მე ჩამოვასხი.

— მე რათა, გავარიტ, ლაზარე გრიგორიან როგორც რო დავინახე, სრაზუ მივხთი, რო ღმერთმა მოგვცა! ეს ინჩ ლავ ტიპა, ელი? ტო, ჩემი დვაირადნიი ბრატია, გოჩა, ვუთხრამ, დაღეჭამს! და სვერხუ ნანულას მიაჭამს! ტო, რებს ამბობს? Iცი, სადა ცხოვრობდა, ჩვენი სკოლის იქა მალალეტკების პოლიკლინიკა რო იყო, დედას ნატო ერქვა? ზურაჯან, არ გახსომს? ტო, ეს ქუქუბარდია ფეხებს რო ტაშტში დემს და კატა ულოკამს, სუ შტერდება?

— მახსოვს, კაცო, ტყუილ ცნობებს გვიკეთებდა, — გამახსენდა ბავშვობა და გამეღიმა. აქუბარდიას კარგიც!

— ერვანდ, ლიას კინოში თმაში რომ აბოლებდი სიგარეტს და ის კიოდა, გახსოვს? — აკისკისდა ნანული.

— მა? ტო, რათ ვიყავ ეგეთი ვრედნი? გოგოს თმაში „ლუქსი“ რათ უნდა შეაბოლო? ნუ, დრუგოი მოჟნა, — დადარდიანდა ჩემი უკეთილშობილესი ერვანდა.

— უიმეეეეე, დიდი ამბავი, ბავშვები ვიყავით, — საოცრად ნაზობდა ნანული.

— ზურაჯან, ეს ავათაა! სლუში, ნანულაჯან, ანდერძი-რამე დასწერე თუ ჯერ ისევ ვარაუდში ხარ?

— ვირთაგვავ, შემომაკვდები! — გააფრთხილა ნანულიმ, მაგრამ მაინც გაეცინა.

— ნანულაჯან, ეხლა სეზონი დაიწყო, არ გინდა, რო ერთი ლამაზი კაცი-გველი მოგიტანო? — თქვა და თან შორს გაიწია.

— შენ აქ არ მყავხარ? — სიცილი აუტყდა ნანულის.

— ერვანდ, ეგ რა იყო? — ჩავყევი ფოსოში.

— არც არაფელი! გყავდეს ეგ კნეინა მანდა! ჰაოს-ქართლოს, ჰოდა — ჰაოს!

— ეერვანდ, ურევ, „ჰაოს“ ჰაიასტანია! თან ეგ რა შუაშია?

— ტო, შენ რათ იცი მაგრე? ძაანაც თავშია! რო ვრეჩობ, ზნაჩიტ მასეა! ძაანაც კარქა ვიცი, რო „ჰაი“ ვარ!

— ჰაი-კლას, — მიაგველა ნანულიმ.

— კაკრაზ რომ ჰაი-კლასი ვარ, ზოგმებმა იკითხონ, გთქონ, რო შურტვაც ჰაი არიან! — ბოთლით მანიშნა ერვანდამ, დაგისხაო?

— გველთამზევ, მე ვერ მხედავ? — ჩაუღიმილა ნანულიმ.

— მითამ რათა? ძალიანაც კარქა გხედამ! ზურაჯან, ამბავი მაქ, მაგრამ ეს ვრედნი ნანულა წაიღებს თავის ნაცსექტაში და მერე იმ გლავნი ვრედნობაში გააკეთებენ, მოლ, ნაღდი ამბავია!! — მეცნიერული გამომეტყველებით შემომიტრიალდა ერვანდა.

— ლენინაკანიდან გითხრეს?

— ჩე ტო, ტიფლისიდამ!

— რაო, — ჩავეძიე და ნანულიმ დამისხა, აფრენსო, მანიშნა.

— ვოვა გავარიტ, ვოვა სტალინის ქუჩაზედ ცხოვრომდა! ვაბშეტა, ვერ გაიგო, ცხოვრობდა თუ სტალინის შვილია...

— ვოვა ოვა?

— ჭანტურიძე!

— ერვანდ, აბა, რამა გაასწორე, რა ვოვა და ვოვა? რა სტალინის შვილი?

— ეს ხო იცი, დებილია, — დამიყვავა ნანულიმ.

— პრიჩომ დებილი? ვოვა ხო არი ჭანტურიძე, ვოვა ხო არი პუტინი, მე დებილი რათა ვარ? — გულწრფელად იკითხა ჩვენგან დებილად განთესილმა საბრალო ერვანდამ. რაღა დაგვრჩენოდა, შეგვრცხვა მე და ნანულის....

— ი ეშჩო, დამირეკეს ნიო-იორკიდამ. გავარიატ, ვ კანადე პაჟარ! ტო, ამოტენა ამერიკაა, კანადიდამ სუნი როგო მოდის? ტინა გავარიტ, სენნეტ — პახნეტ! მანჰეტენ ყარს! კაკ პახნეტ? ამ ამერიკებში ვაბშემც ვერ არიან! ე, ის გუინპლენიც რა მაგარი მასტია, სულ ღიმილობს, — ჩამოასხა ერვანდამ და გააბოლა თავისი მყრალი სომხური სიგარეტი.

— ვინ გუინპლენი, ბიჭო, — ლამის კლანჭები ჩაასო ნანულიმ.

— პლენ, პლენ, გუინპლენ! — აშკარად გასჭრა „ახტამარმა“.

— ზურა, მითხარი რას ამბობს, — შემევედრა ნანული.

— აცადე, ბოლოს გავიგებთ, რომ ბორჯომის ტყეები, ამაზონი და კანადა გადაწვა ვოვამ! — გავიღიმე და მეცა ნანული: ჭანტურიძემ?

— ალბათ, — ამიტყდა სიცილი.

— ზურაჯან, შენ რათ იცი მაგრე? ის კაცი მოვა და ბებუთს მრეკს მერე, რა ჭორს აკეთებო. ეგ იცი, რო პლენათ იყო გუდაუთაში? მე რათ უნდა მრეკოს, ჰა, აგე, მაგას, ეგ აკეთებს ჭორებს!

— ერვანდ, „ახტამარმა“ მოგიჭირა? რეებს ამბობ?

— კიდე მე ვამბობ? ვოვა ამბობს, ვოვა! ვااااჰ!

— ეს ქალია, ცოდოა, მოდი, შენ გრეკოს ბებუთი ვოვამ, — გადაბჟირება დამეწყო. წარმოვიდგინე, ბებუთიანი ვოვა ჭანტურიძე როგორ კუწავს ერვანდას, მე კი არხეინად ვუჭახუნებ ჭიქას ნანულის.

— მამანჯაااااან! ეგა ქალი არ არის, ეგ ნადირია ტყისაო, ხელშეკრულება დახია სსრ კავშირისაო, — ჩააბულბულა ერვანდამ და სიცილისგან აფართხალდა.

— ზურა, აბა, ეს დებილი არ არის? — ტუჩის აბზეკით მკითხა ნანულიმ და ხელი რომ გავიქნიე უარყოფის ნიშნად, „ორი იდიოტი“ გავხდით ელვისებურად.

— ნახე, რა დაგაზა? — იცინოდა ერვანდა.

— ეგ კი ვნახე, მაგრამ ამ პარკში რა არის, არ ვნახოთ? — თითით ვანიშნე ნანულის მოტანილ ძღვენზე.

— შემწვარი გველი, ნო ს არეხამი, — პარკის გახსნა დაიწყო ერვანდამ და აყვირდა: დააბრუნე ის გნიდა, სწერვა და ვრაგ ნაროდა, უნა ვაკოცო!

— ნანულიიიი, მოდი, გოგო, სად გაიქეცი, შემო, რა�ა! — გავძახე ფანჯრიდან და წამიერად შემოიქროლა ნაცსექტამ, რა იყო, მოგენატრეთო?

— სლუშით, ეს მამაო რო არი, რა მაგარი რამე თქო, აზრზე ხართ? ორი დღეა, ვფიქრამ და ვერ ვაწმინდებ, სტა პრაცენტნი თქვა! — ფანჯარასთან მიდგა ერვანდა და ნანულის ცერად გახედა.

— უკვე ვიცი! — გაიცინა ნანულიმ.

— მეც მითხარით, ნუ მამყოფებთ ინფორმაციულ ვაკუუმში, — მართლა დავინტერესდი, რას ამბობდა ეს ორი „პარტია“ საერთოს.

— რათა? ბევრი ცოდნა აბერებს, შენ სუ სვეჟად უნდა გვედო და რამე! — სასტიკი უარი მტკიცა ერვანდამ.

— კაი რაااა, ზურა, ანდრია ჯაღმაიძეზე ამბობს, თქვა رااا! — ტუჩები მოპრუწა ნანულიმ.

— აგე, ნახე, აპიაც ვრედნობა! ნანულაჯან, ეკლესიაში რო ტაშტზე თავი მიგირტყეს, იასნია, მარამ ეგრე მაგრათ რათა? სუ ვრედნობს! აი, ვრედნი ნაპიტოკი ხარ, მაგრამ სიყვარულში მიყვარხარ, ეს რა არი, ტო? — იყვირა და ის კი არ დამანახვა, რა იდო ნანულის მოტანილ პარკში.

— ვიცი, გველო, რომ გიყვარს! — დადნა ნანული, მე კი ინტერესმა მომკლა.

— სლუში, ეს ჩვემი ძმა სულ გამოინცდა? გავარიტ, უკრაინაში ისე მიდის საქმე, როგორც რო ვამბობდიო. ტო, მა სკლეროზი მე მქონდა? აჩომ ბაზარიტ? თითონ უკრაინის გრაჟდანია და თან უხარიან, რა მაგრად ერხევათო? ვერაფელი გავიგე! ტო, ის საწყალი მალალეტკა რო აკულას შეუჭამნია, ამათ რა უხარიათ? ნანულაჯან, გამო სექტიდამ, კლიანუს, ბუმბულად გატარებ! ზურაჯან, შანსი არალი, იმენნა ჩემია! ნუ, ერთი კუსოკი მოჟნა! — გამაფრთხილა და უფრო ჩაიკრა გულში პარკი. უკრაინაც დაავიწყდა და ნანულიც..

— დამანახე მაინც! — მე რაღა მანაღვლებდა, რა დროს უკრაინაა, ჩემს საქართველოს შემოვევლე! გამეცინა, ხომ ვიცოდი, რომ ჯერ ეფერებოდა, მერე ლამაზად დაალაგებდა თეფშზე, „კაკ პარიადოჩნი სომეხ!”

— ა ემ ნანულას, ზურაჯან, გონი უყვარვართ! — დაახეთქა ურყევი სიბრძნე.

— ეხლა გავიქცევი! — იყვირა ნანულიმ.

— ამ ჩვენ ფეხებს, — აბსოლუტურად წყნარად თქვა ერვანდამ და „ახტამარის“ ბოთლი თავზე მიუკაკუნა. რომ მეგონა, მიწისძვრა დაიწყებოდა, შევცდი — ნანულიმ გაუღიმა....

დედა, რა იყო ეს?

— ზურაჯან, მაიტა, დებილები ჩართე, კიდე სადმე რამე პაჟარია იქნებ და ვიცოდეთ, ვკაკომ პუტი გავიქცეთ, ეგრე ბეზ ინფარმაციი ნე ინტერესნა, — იდეა მტყორცნა ერვანდამ.

— მიდი, رااا, — ნანულის ვთხოვე ტელევიზორის ჩართვა.

— მაიცა, მაიტა, არა! მე ჩავრთებ! ეს იმ პიდარასტებს დაგვიდებს! — აყვირდა ერვანდა.

— ვინ პიდარასტებს, კაცო!

— მალა ლი? აგე, თავისნაირებს, — ახითხითდა ერვანდა და მოხვდა კიდეც პურის ყუა თავში.

დავიბენი. ისევ რომელიღაც მსოფლიო ომს ველოდი. შევცდი.

— ეს დებილი, ესა! — თვითკმაყოფილი იყო ნანული, მაგრამ ერვანდა ხითხითებდა.

— ზურაჯან, ამათ ნაცსექტაში ყველა ტუპოი რათაა? ამასა ჰგონიან, რო პური მარტყა. ტო, პური ჭმაა. სხვა პონტია ტაბურეტკა, გინა — ტაფა.... დურა, ნუ! ნანულაჯან, ქესტუმ!

— გველის ნარჩენო, მოგკლავ! — ჩამოასხა ნანულიმ და მანიშნა, ჩვენ დავლიოთ, მაგან არაო. ძმობაში ასე არ ივარგებს და ერვანდას სასმისი შევუვსე.

— აგე, ნაღდი ქართველი კნიაზი! აი, შენ კიდენა, ყველაზე ჩათლახი სომეხი ხარ! — მიათახსირა ერვანდამ ნანული და აღმაზევა გლეხი ოშხერელი.

ნანულიმ ტირილი დაიწყო....

ეს იყო სასწაული....

მე და ერვანდა ერთდროულად ვეფერებოდით ჩვენი ბავშვობის უდიდეს მეგობარს...

ჩვენს მესაიდუმლეს....

ჩვენს უძვირფასეს და შეუცვლელ დაიკოს!

ზურა ოშხერელი

ღირებულებების დაკნინება

ღირებულებების ჩამოყალიბებას საზოგადოების ისტორიული წარსული, კულტურული მემკვიდრეობა, ყოველდღიური ცხოვრება და თვითონ საზოგადოების შემადგენელი ინდივიდები განაპირობებენ. სხვადასხვა საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამერიკულ საზოგადოებაში ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს პიროვნული წარმატება, როდესაც აფრიკის ზოგიერთ ტომში უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ჯგუფურ წარმატებას. ინდუსტრიულ საზოგადოებებში გაქრობის გზას ადგას ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: ერთგულება, მეგობრობა, ხელგაშლილობა, სიყვარული. დღეს უფრო აქტუალურია მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა, ცივსისხლიანობა და ა.შ.

სამწუხაროდ, სახეცვლილება განიცადა ქართულმა კულტურულმა ღირებულებებმაც. საზოგადოების ნაწილი ჯერჯერობით გაურკვევლობაშია. მას სურს ტრადიციული ღირებულებების შეცვლა ან გათანამედროვეობა, მაგრამ, ამავდროულად, კარგად ვერ აცნობიერებს მსოფლიოში გაბატონებული თანამედროვე ღირებულებების რეალურ არსს. ცნობილი პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მკვლევარები ღირებულებების დაკნინებას 1968 წლის სექსუალურ რევოლუციას უკავშირებენ.

მეოცე საუკუნე თავისი მსოფლიო ომებით, ტოტალიტარიზმებითა და გენოციდებით კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბარბაროსული ხანა იყო. ამის მთავარი მიზეზი ცუდი ინსტინქტების სამსახურში მდგარი ცივი და ანგარიშიანი გონების კულტია. დღევანდელობამ დაივიწყა აზრის, მნიშვნელობის არსებობა და სიცოცხლე მხოლოდ ბიოლოგიურ და ეკონომიკურ განზომილებამდე დაიყვანა.

დღევანდელობა ზიზღით ექცევა ინსტიტუტებს, ტრადიციებს და სულიერებას, რითაც გზას უხსნის რევოლუციურ ძალადობას, კრიმინალს და დაბნეულ ახალგაზრდობას ღირებულებებს მოკლებულ მატერიალისტურ სამყაროში ტოვებს.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტიკოსი, ესეისტი, მკვლევარი, ფრანგი ივან ბლო იკვლევდა ოთხ თემას: ადამიანის არსებობა, პიროვნება, ტრადიციებისა და ინსტიტუტების მნიშვნელობა ადამიანისთვის, განხორციელებული სულიერება და გონების საზღვრები. ივან ბლოს დასკვნით, დასავლეთის დღევანდელობაში ეგომ შეცვალა ღმერთი, ფულმა შეცვალა ღირსების გრძნობა, მასებმა შეცვალეს ადამიანის პიროვნება და ეკონომიკურმა და ტექნიკურმა ანგარიშმა შეცვალა ოჯახი და ფესვები, რომლებიც აზრს და მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენს სიცოცხლეს. ის არისტოტელეს, ჰაიდეგერის, ნიცშეს, კიერკეგორის, პლატონის, დოსტოევსკის. გელენის, ჰაიეკის, დიუმეზილის, ჟან კლიმაკის თუ გრიგოლ პალამას დახმარებით გვიჩვენებს გამოსავალს ჩიხიდან, რომელშიც დღევანდელობა მოექცა... ის თავის კვლევაში წერდა, ღირებულებები არაა ცოდნა. ისინი არ შეუქმნია ვიღაც ტირანს ან სამინისტროების კომისიას. ისინი გაჩნდა უხსოვარ დროს. ევროპა და რუსეთი იზიარებენ საერთო ღირებულებებს, რადგან ისინი გამოსულები არიან ერთი და იგივე ცივილიზაციიდან, საბერძნეთიდან და რომიდან გამოსული ქრისტიანობით გარდაქმნილი ცივილიზაციიდან. იმის მკვლელობათა და უპატიოსნების გავრცელების შემთხვევაში საზოგადოება დაინგრევა და მოისპობა. პატიოსნებისა და სიცოცხლის პატივისცემის გავრცელება შესაძლებელია და მოსაწონია ისევე, როგორც შვილების ყოლა. ესაა ნიშანი იმისა რომ ჩვენ საქმე გვაქვს ნამდვილ ღირებულებებთან.

დღემდე დასავლეთში სპობენ ქრისტიანობიდან და ბერძნულ-რომაული სამყაროდან გამოსულ ტრადიციულ ღირებულებებს.

1960-ანი წლების ამერიკული უნივერსიტეტებიდან დაწყებულმა კულტურულმა რევოლუციამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ჩვენს ღირებულებებს და ძალიან დაასუსტა ისინი. მის ლოზუნგებს შორის იყო „აკრძალულია აკრძალვა„ ან „მამაკაცები და ქალები არ არსებობენ, არსებობს მხოლოდ სექსუალური ორიენტაციის სუბიექტური „არჩევანი".

1968 წლის პარიზული მაისის ამ რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო „დატკბით და ისიამოვნეთ დაბრკოლებათა გარეშე". რევლუციის მომწყობმა თავქარიანმა ახალგაზრდებმა და მათმა ბელადმა, შემდგომში პატივცემულმა პოლიტიკოსმა დანიელ კონ ბანდიტმა 1970-ანი წლების დასაწყისისთვის საინტერესო მემკვიდრეობა დატოვეს. ისინი უარყოფდნენ ყოველგვარ ავტორიტეტს, ტრადიციას, უარყოფდნენ რელიგიას, როგორც ასეთს, და არა მარტო ქრისტიანობას. ისინი ამბობდნენ, რომ ომს და პოლიტიკას სჯობს, სიყვარულად წოდებული აღვირახსნილობა და ყირა-ყირა სიარული.

ფროიდმა და კლოდ ლევი სტროსმა გვიჩვენეს, რომ ცივილიზაცია და კულტურა ტაბუდან, აკრძალვებიდან იწყება. 1968 წლის მაისის თავქარიანი ლიდერები კი მოითხოვდნენ სწორედ ყველანაირი ტაბუს, ყველანაირი აკრძალვის გაუქმებას . ისინი უარყოფდნენ გაბატონებულ, ანუ ბიბლიურ ეთიკაზე, ათი მცნების ეთიკაზე დაფუძნებულ მორალს. მოითხოვდნენ ყოველგვარი, მათ შორის სექსუალური შეზღუდვების გაუქმებას... უნდოდათ არასრულწლოვან ბავშვებს, მოზარდებს და სრულწლოვანებს შორის არსებულ განსხვავებათა გაუქმება. მოითხოვდნენ არასრულწლოვან ბავშვთა სექსუალობის განთავისუფლებას და ამართლებდნენ პედოფილიას. არსებობს ღირებულებები როგორც სავალდებულო ნორმები, რომლებსაც განასახიერებს სახელმწიფო, არის ოჯახური ღირებულებები რომლებიც ვრცელდება ეკონომიკაზეც და არის სულიერი ღირებულებები, რომლებსაც განასახიერებს რელიგიები.

რა მდგომარეობაში ვართ ჩვენ? ამერიკულმა უტილიტარიტარიზმმა ადამიანი ეკონომიკის გამოსაყენებელ მასალად გადააქცია და ბევრ ჩვენს ტრადიციულ ღირებულებას ძირი გამოუთხარა. საფრანგეთში უარყვეს ჰუმანისტური აღზრდა როგორც ქრისტიანული, ისე საერო. ახლა ცდილობენ საერთო, ზოგადი კულტურის არმქონე ტექნიკოსებისა და კომერსანტების და არა ავტონომიური მოქალაქეების აღზრდას. ადამიანი უნდა იქცეს ეკონომიკური მანქანის უბრალო ჭანჭიკად. ფილოსოფოს ჰაიდეგერის აზრით, ზოგადი, საერთო კულტურა ქრება და ადამიანები აღარ კითხულობენ. პირველ რიგში, ელიტებში, მორალური გრძნობაც სუსტდება. ადამიანის უფლებების სახელით ძირი გამოუთხარეს ტრადიციულ მორალს. ცივილიზებული ადამიანი იმარჯვებს მაშინ, როდესაც გონება და გრძნობები შეთანხმებულად ახერხებენ ინსტინქტური გაუცნობიერებელი მისწრაფებების მოთოკვას.

დასავლეთში მბრძანებლობს ემოციური ტვინი და მორალური გრძნობა და მორალი რეაქციულად მიიჩნევა! 1968 წლის მაისის შემდეგ ოჯახური ღირებულებები საფრანგეთში დაემხო. 1970-ანი წლებიდან აშშ-იდან მოვიდა მიმდინარეობა, რომელსაც ჰქვია გვარის, სახეობის თეორია - რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანის სქესი არის ადამიანის მიერ ნებაყოფლობით, საკუთარი ნებით გაკეთებული არჩევანი და არა ბუნებით მიცემული რამ. ამის მიზანია ნორმალური, ჰეტეროსექსუალური ქორწინების მონოპოლიის მოსპობა. იმავე წლებიდან მშობიარობათა რაოდენობა დრამატულად შემცირდა ევროპაში. ევროპელები აღარ აჩენენ შვილებს და ევროპის დემოგრაფიას ინარჩუნებენ მესამე სამყაროდან მომავალი იმიგრაციით. გეიპრაიდები, ჰომოსექსუალთა ქორწინებების დაშვება, გაჭირვებულ უმუშევართა რაოდენობის ზრდა... მძიმე დემგრაფიული კრიზისიც, გაჩნდა ბავშვებისგან, შვილებისგან თავისუფალი ცხოვრების იდეოლოგია. ამ იდეოლოგიით დაავადებული ევროპა საფრთხეშია, მას დემოგრაფიული სიკვდილი ემუქრება...

სოციალისტი ჟორესი ამბობდა, რომ ღარიბთა ერთადერთი სიმდიდრეა სამშობლო. დღეს ცდილობენ ამ სიმდიდრის გაუფასურებას. სამშობლო ეფუძნება ადამიანთა უანგარობას. ადამიანებს უნდა შეეძლოთ მსხვერპლის გაღება, თავგანწირვა სამშობლოსთვის. დღეს აღარც ჯარისკაცობა უნდათ და აღარც მღვდლობა, ავადმყოფი პოლიტიკური კლასი შეპყრობილია პირადი გამდიდრების ჟინით. მიიჩნევა, რომ სამშობლო და მისი იდეა ხელს უშლის ახალი უტილიტარისტი და ფესვებიდან მოგლეჯილი, უფესვო ადამიანის შექმნას. საფრანგეთში ცდილობენ პატრიოტიზმის მოწყვეტას ქრისტიანული მემკვიდრეობისგან, ეს კი მთელ ისტორიულ გამოცდილებას ეწინააღმდეგება. ეკლესიამ ევროპის მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ოკუპირებული იყვნენ უცხოელების მიერ, დიდი წვლილი შეიტანა სამშობლოს ხსნაში. სამშობლო, პოლიტიკური ინსტიტუტების თვალსაზრისით, განუყოფელია დემოკრატიისგან. არადა, ევროპაში, შვეიცარიის გამოკლებით, უფრო ოლიგარქიას ვხედავთ, ვიდრე დემოკრატიას. ეს არაა ახალი ამბავი. ჯერ კიდევ დე გოლი გმობდა ამ გადაგვარებას და გზიდან აცდენას.

ქრისტიანობა უნიკალურია იმით, რომ ინკარნაციის, განკაცების რელიგიაა. წმ. ათანასე აღმოსავლეთში და წმ. ირენე დასავლეთში ამბობდნენ, რომ ღმერთი ადამიანად მოვიდა იმიტომ, რომ ადამიანმა შეძლოს ღმერთად გახდომა. ქრისტიანობა ხაზს უსვამს ადამიანის პიროვნების პატივისცემას, რასაც ვერ გამოვყოფთ მორალური მოვალეობებისგან. ეს წონასწორობა დაარღვია ადამიანის უფლებათა იდეოლოგიამ, რომელშიც არაა მოვალეობები. არადა, მორალურ მოვალეობათა შეგრძნების არმქონე თავისუფლება იწვევს ადამიანურ კატასტროფებს. თანასწორობა დიდსულოვნების, გულუხვობის, ქველმოქმედების გარეშე მთავრდება შურით, ეჭვითა და მკვლელობით, ეს რევოლუციებმაც გვიჩვენა. უსამართლო ძმობა კი ქმნის მაფიებს, სხვათა საზარალოდ შექმნილ მაფიურ საძმოებს. რელიგიათა სამართლებრივი თანასწორობა არ დგება ეჭვს ქვეშ და არ უქმდება.

დასავლეთში ტრადიციულ ღირებულებებს ამხობს არა ხალხი, არამედ ელიტა, რომელიც თავისი ოლიგარქიულ, მედიატურ, ფინანსურ, იურიდიულ და პოლიტიკურ ძალაუფლებას იყენებს. რეფერენდუმს ჰომოსექსუალთა ქორწინების შესახებ პარლამენტში ჩატარებული კენჭისყრის შედეგისგან განსხვავებული შედეგი ექნება. დღეს ევროპული ელიტები ემხრობიან ადამიანის უფლებათა ფსევდორელიგიურ იდეოლოგიას, ხალხს ურჩევნია ოჯახის, კლასიკური მორალის და სამშობლოს ტრადიციული ღირებულებები და სულ უფრო და იზრდება უფსკრული ელიტებს და ხალხს შორის. დე გოლმა თავის ომის მემუარებში დაწერა, რომ რეჟიმები მიდიან, მაგრამ ხალხები რჩებიან. მე დავამატებდი, რომ იგივე ითქმის ხალხთა მარადიულ ღირებულებებზე, რადგან ისინი ადამიანის ბუნებაშია ჩაწერილი.

რაღად გინდათ ღმერთი, როდესაც თქვენ თვითონ ხართ ღმერთი თქვენი გონების წყალობით, გარწმუნებთ ვოლტერი. რაღად გინდათ მეფე, თქვენ თვითონ ხართ მეფე დემოკრატიის წყალობით, გარწმუნებთ რუსო. რაღად გინდათ პატრონები, თქვენ თვითონ იქნებით მდიდრები და პატრონები კომუნიზმის დროს, გარწმუნებთ მარქსი. აღარ გვჭირდება მორალი, ვიყოთ ყველანი დონ ჟუანები სექსუალური რევოლუციის წყალობით, გვარწმუნებენ ფროიდი და მისი მოწაფეები. ვოლტერი, რუსო, მარქსი და ფროიდი ადამიანს მიიჩნევდა არსებითად, არსით მხეცად. მათთვის ადამიანი არის გონიერი მხეცი, მაგრამ მაინც მხეცი. ფროიდმა თავის ნაშრომში "უქეიფობა კულტურაში" განაცხადა, რომ ადამიანი არის გონებასუსტი არსება, რომელიც იმართება გაუცნობიერებელი მისწრაფებებით.

ივან ბლო გვთავაზობს ადამიანურ რეალობასთან უფრო ახლო მდგარ, ერთმანეთისგან განსხვავებული ინდივიდებისა და მათ მეობათა მეტად პატივისმცემელი, ტრანსცენდენტურობისკენ და ჩვენი არსებობის საიდუმლოკენ მეტად გახსნილი ეგზისტენციალური ფილოსოფიების გზაზე დადგომას.

მარიამ ჯანჯღავა

რობოტებისა და ადამიანების ურთიერთობას კანონი დაარეგულირებს

ცნობილი ფუტუროლოგი, **Google**-ის ტექნიკური დირექტორი, რეა კურცვეილი, საკუთარ წიგნებში, ბლოგებში, ინტერვიუებსა და ლექციებზე 20 წელზე მეტია, რაც საუბრობს იმ გეგმაზე, რომელიც უახლოეს წლებზეა გაწერილი.

2015 წლის დასაწყისში კურცვეილი მორიგი „წინასწარმეტყველებით" წარსდგა საზოგადოების წინაშე. ცხადია, საზოგადოება ყურადღებით ეკიდება იმ ადამიანის პროგნოზებს, რომელიც ხელოვნური ინტელექტის სფეროში თანამედროვე მიღწევების მკვლევარადაა მიჩნეული. გასული საუკუნის 90-იანი წლებში მის მიერ გაკეთებული პროგნოზების უმრავლესობა აკადემიურად ცნეს.

ახლა მისი პროგნოზების საზღვრები შეიცვალა. თუ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ კურცვეილი ხანგრძლივ პერიოდებზე აკეთებდა აქცენტს, ვთქვათ, 2030-იანი წლები, 2040-იანი წლები, ახლა უკვე ქრონოლოგიურად პროგნოზირებს, რაც, უდავოდ, საინტერესოა. გადავხედოთ უკვე „ახდენილ" პროგნოზებს:

2019 წელი — ყველა სახის პერსონალური და პერიფერიული მოწყობილობების სადენები და კაბელები წარსულს ჩაბარდება;

2020 წელი — პერსონალური კომპიუტერების სფეროში გამოთვლით სიმძლავრეში კომპიუტერი ადამიანის ტვინს გაუთანაბრდება;

2021 წელი — უსადენო ინტერნეტწვდომა დედამიწის 85%-ს მოიცავს;

2022 წელი — აშშ-სა და ევროპაში მიიღებენ კანონს, რომელიც რობოტებისა და ადამიანების ურთიერთობას დაარეგულირებს. რობოტების შემოქმედება, მათი უფლებები, ვალდებულებები და სხვა საზღვრები ფორმალიზებული იქნება;

2024 წელი — კომპიუტერული ინტელექტის ელემენტები აუცილებელი იქნება ავტომობილებში. ადამიანებს აეკრძალებათ საჭესთან დაჯდომა, თუ არ „ეყოლებათ" კომპიუტერული დამხმარე;

2025 წელი — გაჩნდება გაჯეტ-იმპლანტანტების მასიური ბაზარი;

2026 წელი — მეცნიერული პროგრესის წყალობით, მომავალში, დროის ერთეულში ცხოვრება უფრო გაგვიხანგრძლივდება;

2027 წელი — პერსონალური რობოტი, რომელსაც აბსოლუტურად ავტონომიური მოქმედების შესაძლებლობა ექნება, ისეთივე ჩვეულებრივი ნივთი გახდება, როგორიც მაცივარი ან მადუღარა;

2028 წელი — მზის ენერგია იმდენად გაუფასურდება, რომ შესაძლებელი გახდება მთელი კაცობრიობის ენერგეტიკული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

2029 წელი — კომპიუტერი ტიურინგის ტესტის გავლას შეძლებს;

2030 წელი — ნანოტექნოლოგიების გაფურჩქვნა:

2031 წელი — ნებისმიერი დონის საავადმყოფოში ადამიანის ორგანოების ამოსაბეჭდად 3D–პრინტერს გამოიყენებენ;

2033 წელი — გზებზე თვითმავალი ავტომობილების რაოდენობა მნიშვნელოვნად იმატებს;

2035 წელი — კოსმოსური ტექნიკა იმდენად განვითარდება, რომ დედამიწის ასტეროიდების შეჯახებისგან მუდმივად დაცვას შეძლებს;

2038 წელი — გამოჩნდება ტრანსჰუმანური ტექნოლოგიის პროდუქტი — რობოტიზებული ადამიანები. ისინი აღჭურვილნი იქნებიან დამატებითი ინტელექტით (მაგალითად, ორიენტირებული იქნება კონკრეტულ ვიწრო სფეროზე, რომლის შესაძლებლობები ადამიანის ტვინს აღემატება), სხვადასხვა ოპცია-იმპლანტით, თვალი-კამერით დაწყებული, ხელი-პროთეზით დამთავრებული;

2039 წელი — შესაძლებელი გახდება ნანომანქანების იმპლანტაცია პირდაპირ ტვინში;

2043 წელი — დიდი რაოდენობის ნანორობოტების წყალობით, ადამიანის სხეულს შეეძლება ნებისმიერი ფორმის მიღება. შინაგანი ორგანოები შეიცვლება ბევრად ხარისხიანი მოწყობილობებით;

2044 წელი — ნანობიოლოგიური ინტელექტი ბიოლოგიურზე მილიარდჯერ ჭკვიანი იქნება;

2045 წელი — დგება ტექნოლოგიური სინგულიარაცია. დედამიწა ერთ დიდ კომპიუტერად გადაიქცევა;

2099 წელი — ტექნიკური სინგულარიაცია მთელ სამყაროში გავრცელდება.

ასეთი პროგნოზების დაჯერება ძნელია, მაგრამ, თუ ყურადღებით დააკვირდებით საზოგადოების განვითარების აჩქარებულ ტემპებს, სარწმუნო ხდება, რომ ახლო მომავალში ეს ყველაფერი რეალურად ასრულდება.

შესაძლოა, პროგნოზები ზუსტად არ ემთხვეოდეს კონკრეტულ ქვეყანასა თარიღებს, მაგრამ ფაქტია, რომ კურცვეილის ჩამონათვალი ფანტაზიის სფეროს აღარ განეკუთვნება.

Goldman Sachs-ის ბოლო ანგარიშის მიხედვით ხელოვნურმა ინტელექტმა, შესაძლოა, დაახლოებით 300 მლნ სამუშაო ადგილი გამოათავისუფლოს.

ხელოვნური ინტელექტი „არ დაინტერესდება" სოფლის მეურნეობით, სამთო მრეწველობითა და მსგავსი სამუშაობით, მაგრამ ტექნიკურ მიღწევებში ვერავინ შეედრება. გაქრებიან პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერები, ვებ-დეველოპერები, კომპიუტერის პროგრამისტები, მონაცემთა ანალიტიკოსები, **IT** სპეციალისტები...

თურმე პირველი ინდუსტრია, რომელსაც „ხელოვნური ინტელექტი" უახლოეს მომავალში შეუტევს, მედია და მარკეტინგია. ანგარიშიდან გახდა ცნობილი, 15 წელიც არ დასჭირდება იმას, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა ახალი ამბების 90% დაწეროს. მაგალითად, **Natural Sciences**-ს ჰქონია ხელოვნური ინტელექტის პერიფერაზირების ინსტრუმენტი, რომელიც კომპანიის ანგარიშებს წერს.

გერმანელმა გამომცემელმა აქსელ სპრინგერმა განაცხადა, რომ სამუშაო ადგილების მნიშვნელოვნად შემცირებას გეგმავს, რადგან ხელოვნური ინტელექტით ადამიანების ჩანაცვლების პროცესი უკვე აქტიურ ფაზაშია, სხვადასხვა მედიასაშუალებები, მაგალითად: **Business Insider, CNET** და **CNBC** ახალი ამბების დასაწერად **ChatGPT**-ს უკვე აქტიურად იყენებენ.

ამერიკელი მარკეტოლოგების თქმით კი ხელოვნური ინტელექტის დანერგვით ბევრად ეფექტიანი შედეგი მიიღეს და ამ სფეროში, უახლოეს მომავალში სამუშაო ადგილები აუცილებლად შემცირდება.

კიდევ ერთი სფერო, რომელზეც ხელოვნური ინტელექტი უეჭველად მოახდენს დიდ გავლენას, იურიდიული სერვისებია, რადგან იურიდიული მოხმარების არაერთმა ამერიკულმა ცენტრმა დაიწყო **ChatGPT**-ის გამოყენება. როგორც კომპანიები ამბობენ, **ChatGPT** იურიდიულ კონტრაქტებს უფრო სწრაფად და სწორად კითხულობს, ვიდრე ადამიანები.

ხელოვნური ინტელექტით ჩანაცვლების საფრთხე ემუქრებათ წარმოების მუშებსაც. წარმოებაში რობოტი პირველად **General Motors**-მა გამოიყენა 1962 წელს და მწარმოებლებმა ამ პერიოდიდან დაიწყეს საკუთარ ქარხნებში რობოტების მასიური გამოყენება. მართალია, რობოტი მხოლოდ ერთი კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად გამოდგებოდა, ხოლო ხელოვნური ინტელექტი გადაწყვეტილებების მისაღებადაა საჭირო, მათი სინთეზი იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სამუშაო პროცესები მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად განხორციელდეს.

2025 წლისთვის, სავარაუდოდ, 2 მლნ ადამიანი ჩანაცვლდება ხელოვნური ინტელექტით. კვლევაში ერთ-ერთი ჩინური კომპანის მაგალითია მოყვანილი, რომლის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ, რომ წარმოების პროცესში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის შემდეგ პროდუქტიულობა 250%-ით გაიზარდა, ხარვეზები კი 80%-ით შემცირდა.

შემცირებები ემუქრებათ საფინანსო და საბანკო სფეროს წარმომადგენლებსაც. ხელოვნური ინტელექტის დანერგვა უკვე დაიწყეს საბანკო ოპერაციებში. ბანკების 56% აცხადებს, რომ **AI**-ის დანერგვის შემდეგ გაცილებით დაჩქარდა ოპერაციების წარმოება, დაეზოგათ ხარჯები და გაეზარდათ შემოსავალი.

როგორც **Capital One**-ის უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, **AI** დეტალურად იკვლევს ტრანზაქციებს და ბიუჯეტის ოპტიმიზაციისთვის სწორ ფინანსურ რჩევებს აძლევს მომხმარებლებს. **Morgan Stanley** ამბობს, რომ ხელოვნური ინტელექტი ბანკირებს კაპიტალის მართვაშიც დაეხმარება.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პროგნოზის მიხედვით, საფინანსო სექტორში ხელოვნური ინტელექტი, პროცესების ეფექტიანობის ზრდის პარალელურად, სამუშაო ადგილების შემცირებას გამოიწვევს. მათი შეფასებით, 2027 წლისთვის ჩინეთის საფინანსო სექტორში სამუშაო ადგილების 23% **AI**-ით ჩანაცვლდება.

Die Aktuelle-ს 15 აპრილის ნომრის ყდაზე მოღიმარი მიხაილ შუმახერის ფოტო დაიბეჭდა. გამოცემა მკითხველს მასთან ინტერვიუს სთავაზობდა. აღმოჩნდა, რომ ინტერვიუ ხელოვნური ინტელექტის მიერ იყო დაწერილი. ყალბმა ინტერვიუმ შუმახერის ოჯახის აღშფოთება გამოიწვია და ჟურნალის წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების მიღებას აპირებდნენ. **Die Aktuelle**-მ ინტერვიუს გამოქვეყნებას ექსპერიმენტი უწოდა, ოჯახს ბოდიში მოუხადა, ჟურნალის მთავარი რედაქტორი ანე ჰოფმანი კი სამსახურიდან დაითხოვა.

გერმანელმა ფოტოგრაფმა ბორის ელდაგსენმა ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ფოტოთი გაიმარჯვა კონკურსში, მაგრამ პრიზზე უარი თქვა, „ხელოვნური ინტელექტი არ არის ფოტოგრაფია, მხოლოდ ის მაინტერესებდა, შესაძლებელი არის თუ არა მსგავს კონკურსებზე მისი ამოცნობა", — განაცხადა ელდაგსენმა.

ხელოვნური ინტელექტი უფრო და უფრო იხვეწება და მეტად დამაჯერებელ სამეცნიერო და ანალიტიკურ სტატიებს, ფოტოებსა და ვიდეოებს ქმნის და ტექნოლოლოგიების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო რთულდება სიყალბის ამოცნობა.

ხელოვნური ინტელექტის ნათლიად წოდებული ჯეფრი ჰინტონი ამბობს, რომ ხელოვნური ინტელექტის ჩეთბოტები უახლოეს მომავალში ადამიანზე ჭკვიანები იქნებიან, რაც მზარდი საფრთხეა.

ამ მოსაზრებას ილონ მასკიც იზიარებს, თუმცა მისი მომავალი „მეუღლის ვინაობა გაგვიმხილა". ეს არის პირველი რობოტი, რომელიც ისეთი პიროვნული „თვისებებითა" და ქალის მახასიათებლებით შექმნეს, რაც არცერთ ნორმალურ ადამიანში არ მოიძებნება. მას კატლინა ჰქვია და დატენვის გარეშე მზის ენერგიით მუშაობს. ის აღჭურვილია ისეთი სენსორებით, რომლებიც მას აბედნიერებს და სევდიანსაც ხდის. აქვს დაბალანსებული და ინტერაქტიული აზროვნება, რაც საშუალებას აძლევს, რომ კრიზისში ყოფნისას სხვას გაუზიაროს ის გრძნობები, რომელთაც განიცდის ან სჭირდება (მოფერება, დაყვავება და ა. შ.). კატლინა ყველა სახის ფსიქოლოგიურ სტრესსაც გამოხატავს.

მაკა ჯაყელი

განათლება აზიის კონტინენტზე

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) რეიტინგები სტაბილურად დემონსტრირებენ განათლების სფეროში აზიის ქვეყნების პოზიციების ზრდას, PISA-ს (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა) ტესტების მიხედვით კი, ევროპელმა და ამერიკელმა მოსწავლეებმა უფრო ნაკლები იციან, ვიდრე მათი ასაკის თუნდაც ვიეტნამელმა ბავშვებმა.

ახლო აღმოსავლეთში ბავშვები ძალიან ბევრს სწავლობენ, 8-10 საათის განმავლობაში კვირაში 6 დღე, ამას ემატება რეპეტიტორები და სხვადასხვა კურსები. მოსწავლეებს შორის მძაფრი კონკურენციაა.

აზიის ქვეყნებს შორის განვითარების დონის მიხედვით განათლების მაღალ ხარისხზე ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყნების მაგალითზე შეიძლება ვისაუბროთ. ინდოეთის სიტუაცია კი ახლო აღმოსავლეთს მოგვაგონებს, სადაც უფრო განვითარებული ისრაელი და თურქეთიც კი ბავშვების მომზადების მაღალი დონით ვერ დაიკვეხნიან.

ჩინეთი

ქვეყანაში არსებობს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სკოლები და სკოლა-პანსიონები. საყოველთაო ცხრაკლასიანი განათლება მხოლოდ ახლახან გახდა უფასო. ჩინელი ბავშვების ცოდნის დონე საშუალოზე მაღალია.

პირველ კლასში შესვლამდე ბავშვები ტესტირებას გადიან, სასწავლო წლის დასრულებისას კი გამოცდებს აბარებენ. მაღალი ქულები კარგ საშუალო სკოლაში სწავლის გარანტიაა.

ჩინური სკოლის თითოეულ კლასში, ჩვეულებრივ, 30-40 მოსწავლეა, მაგრამ ზოგჯერ მათი რიცხვი 70-80-საც აღწევს.

ძირითადი დატვირთვა ჩინურ ენასა და მათემატიკაზე კეთდება, რადგან ათასობით იეროგლიფის სწორად დაწერას და გამოთქმას დიდი ძალისხმევა სჭირდება.

ინგლისურის მასწავლებლებს ევროპიდან იწვევენ.

სკოლაში დღეში ორჯერ ტარდება ვარჯიშები. მოწყობის დროს აღმართავენ სკოლის ან სახელმწიფო დროშას. მასწავლებელს უფლება აქვს, ბავშვს ხელი ან ჯოხი დაარტყას.

იაპონია

ამ ქვეყანაში დაწყებით და საშუალო სკოლაში სწავლა სავალდებულო და უფასოა ყველასთვის, კერძო სასწავლებლების გარდა. უფროს კლასებში სწავლა და უმაღლესი განათლება მხოლოდ ფასიანია. საგანმანათლებლო პროგრამა განსხვავებულია სხვადასხვა სკოლებში, მაგრამ სახელმწიფო სტანდარტებს ეფუძნება.

ბავშვების აკადემიური მოსწრება კონფიდენციალურია. სასწავლო წლის ბოლოს ბავშვები ალაგებენ სკოლას და მიმდებარე ტერიტორიას. არის შემთხვევები, როცა ბავშვების ნაცვლად დედები დადიან სკოლაში და კონსპექტებს წერენ, თუ ისინი ავად არიან. იაპონიაში ჩვეულებრივი ამბავია კვირა დღეს დამატებითი მეცადინეობებიც.

სამხრეთ კორეა

ქვეყნის ყველა სკოლაში განათლებას სახელმწიფო აკონტროლებს. შასწავლო წლის ბოლოს ქვეყანაში დგება საუკეთესო სკოლების სია. მაღალ კლასებში სწავლა მხოლოდ ფასიანია.

ინგლისურ ენასა და მათემატიკაში მიღებული 100 ქულა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე მშობლიურ ენაში ან საბუნებისმეტყველო საგნებში მიღებული.

სკოლებში ნიშნებს არ წერენ, მხოლოდ იმის გაგებაა შესაძლებელი, მოსწავლეთა რეიტინგში რომელ ადგილს იკავებ.

მომდევნო კლასში ბავშვები აკადემიური მოსწრების მიუხედავად გადაჰყავთ.

ისრაელი

ისრაელში ბავშვები უმეტესად სახელმწიფო საერო და სახელმწიფო რელიგიურ სკოლებში სწავლობენ. დანარჩენი პატარები დამოუკიდებელი განათლების სისტემის ორთოდოქსულ-რელიგიურ და კერძო სკოლებში დადიან.

ისრაელში არსებობს გოგონათა, ვაჟთა და შერეული სკოლები. დაწყებითი განათლება მეექვსე კლასამდეა.

ისრაელის სკოლებში ერთ საფეხურზე სწავლობენ სხვადასხვა აკადემიური მოსწრებისა და შესაძლებლობების ბავშვები, ამიტომ ყველა საგანი სხვადასხვა დონეზე შეისწავლება და კლასი რამდენიმე ნაწილად იყოფა.

ქვეყნის განათლების სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს იმ თანხის ოდენობას, რომელიც მშობლებმა მოსაკრებილის სახით უნდა გადაიხადონ, თუ ოჯახი გადახდისუნარიანი არ არის, მათი ბავშვი ჩვეულებრივად განაგრძობს სკოლაში სწავლასა და ჩართულია ყველა აქტიბობაში.

თურქეთი

ამ ქვეყანაში განათლების თითოეული საფეხურისთვის — დაწყებითი, საშუალო და მაღალი, რომელსაც ლიცეუმსაც უწოდებენ, ოთხ-ოთხი წელია გამოყოფილი. სასწავლო დაწესებულებები სახელმწიფო და კერძოა. კერძო სკოლები ბევრია და დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

თურქეთში სავალდებულოა მოსამზადებელი სკოლა, სადაც 3-4 წლის პატარებს ასწავლიან თურქულ და ინგლისურ ენებს, მათემატიკას და მუსიკას. ასეთი სკოლების უმრავლესობა კერძოა.

სახელმწიფო სკოლების თითო კლასში შეიძლება 40-50 ბავშვი სწავლობდეს.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა სპეციალურ საშუალო ქულაზეა დამოკიდებული, რომელსაც მეექვსე კლასიდან გამოითვლიან. ქვეყნის ყველა სკოლაში ყველა ეტაპზე შეისწავლება ისლამი და მსოფლიოს რელიგიები.

თურქულ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სკოლებში მომსახურების სისტემა მოქმედებს: ბავშვები სკოლაში სპეციალურ ავტობუსს მიჰყავს და მეცადინეობების შემდეგ შინ აბრუნებს მათ.

ინდოეთი

ინდოეთში უფასო საშუალო განათლებას სახელმწიფო უზრუნველყოფს. არსებობს სპეციალური გახალი სკოლების ასაშენებლად და აშენებულების შესანარჩუნებლად.

თუ მშობლებს სურთ, რომ ბავშვმა პრესტიჟულ სკოლაში ისწავლოს, ამისთვის მზადებას სამი წლიდან იწყებენ.

ქალაქისა და სოფლების სკოლების მატერიალური ბაზა განსხვავებულია — სოფლის ბავშვები იატაკზე სხედან, ქალაქის სკოლები კი კომპიუტერული კლასებითაა უზრუნველყოფილი.

თითოეულ შტატში ინგლისურის, სანსკრიტისა და ჰინდის გარდა, სწავლობენ ადგილობრივ დიალექტებს.

ყოველი სასწავლო წლის დასრულებისას ადგილობრივი გაზეთები აქვეყნებენ საუკეთესო აღზრდილთა ფოტოებს.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

იყიდება ბინა საბურთალოზე, მინდელის 12, 68.3კვ. მწვანე კარკასი, დასრულებულ და შესახლებულ „დონა პალასის“ კორპუსში. ტელ: 514-38-77-38

„საერთო გაზეთის“ იურისტს და ჟურნალისტს ლევან ჭიღლაძის ქალიშვილს, 69-ე სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეს ელენე ჭიღლაძეს ვულოცავთ ინგლისური ენის B-2 უმაღლესი სერტიფიკატის მინიჭებას და ვუსურვებთ წარმატებებს.


ETS TOEFL Junior
CERTIFICATE OF ACHIEVEMENT
This is to certify that
Chigladze Elene
achieved the following score on the
TOEFL Junior Standard Test
Listening 290
Language Form and Meaning 280
Mohammad Kousha
General Manager
TOEFL Product Management & Client Relations, ETS

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99